მეექვსე წელიწადი

ვარლეტარებო, ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

ხუთშაბათი, 4 თებერვალი 1926 წ.

ყოველდღიური გაზეთი

თფილ. მაგისტრატის სამ. ს. ს. საჯარო ბიბლიოთეკა

საქართ. კომუნისტური პარტიის ცენტრალური ბ თბილისის კომიტეტის და სრულიად საქართველოს მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების ცენტრ. ალმასკომის ორგანო

რედაქცია
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი № 24, მეორე სართული

რედაქციაში საქმის თვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე, გარდა კვირა-უქმეებისა, 10—11 ს.

ტელეფონები: რედაქტორის 14—76, მდივნის 10—58

მთავარი კანტორა
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი, 24, მეორე სართული, ტელეფონი № 10—49

ხელის მოწერის ფასი: მუშა-მოსამსახ. 90 კაპ., დანარჩენებისთვის—1 მ. და 20 კ. ხელისმომწერნი მიიღებენ ჟურნალ „დროშას“ და „მეცნიერება და ტექნიკას“. განცხადებების ნონპარელის სტრიქ.—40 კ., ტექსტში ორჯერ მეტი. სამკვლევარო—10—15—20 მან. დოკუმენტების დაკოპვა—1 მ., განცხადებები მიღება 3 ს-დე.

ექსპედიციის ტელეფ. 5—43, სტამბის ტელ. 13—80.

დღის წესრიგი

— განიხილების კონფერენცია ბანკირთა მოსახლეობისადმი.

— დაისურა გუმინდანის კონგრესი, რომლის რეზოლუციაში მოთხოვნილია სახალხო მთავრობის შეძახა და ნაციონალური კრების მოწვევა.

— პოლიტიკური პატიმრები ვილნოს ციხეში იმყოფებიან საშინელ პირობებში.

— ავტარის მუშათა დელეგაციამ გამგზავნა დეკლარაცია, სადაც აღნიშნულია სახელმწიფო მუშების მილწევები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დავაჩქაროთ სასოფ.-სამ. გადასახადის აკრეფა

დღეს ჩვენს გაზეთში მოთავსებულია მუშათა და გლეხთა ინსპექციის გამოკვლევა საქართველოში სასოფლო-სამეურნეო გადასახადის ორგანიზაციისა და ამ გადასახადის მიმდინარეობის შესახებ.

ეს გამოკვლევა მრავალმხრივ საყურადღებოა როგორც ჩვენს საგადასახადო აპარატის მუშაკებისათვის, ისე თვით გლეხთა ფართე მასებისათვის, რადგან აქ გამოშკარავებულია ყველა ის ტკივილები, რომელნიც თან სდევენ ჩვენში სასოფლო-სამეურნეო გადასახადის აკრეფას.

ერთ-ერთ უარყოფით მხარეთ სავადასახადო აპარატის მუშაობაში ჩაიცერება ძირითად საგადასახადო ქვ. ს უქონლობა. მუშაობის სიმძიმე ეს თავისებურად დაიწვა სამ. ზრო ცენტრებს, რადგან ის სისტემა, რომ. ლიც შემოღებული იყო გადასახადის ასაკრეფად რუსეთში, გამოუსადეგარი აღმოჩნდა ჩვენს თვით მმართველობის პირობებში. როგორ ვიცით, „ვოლოსტი“ და თუმი მნიშვნელოვანთ განსხვავებებით ერომანეთისაგან ტერიტორიით, მოსახლეობის რაოდენობით, მუშა ძალების რიცხვით და სხვ.

ამრიგად, აპარატის მოუქნელობამ ბუნებრივათ შექმნა საგადასახადო საქმეში მთელი რიგი დაბრკოლებები. მაზრიდან ძნელი შეიქნა დაბეჭდილის ნივთიერ შესაძლებლობის სისწორით გამორკვევა. ამას შედეგად მოჰყვა გადასახადის უთანასწორო განაწილება, რაც უკმაყოფილებას იწვევს გლეხებში და თავის დღის აჩენს გადასახადის აკრეფის შეფერხებას.

გარდა ამისა გადამხდელთა ერთი თვით ადრე რიცხვ ი იყოდ გაცხოველებული სა ეურნეო მუშაობა სწაროებდა, მაზოის აწერელი არ იყვნენ საკმაოდ გაცნობილნი გადას ხადის დებულებებს და, რასაკვირველია, მათ უფრო ნაკლებათ ერკვეოდა ამ კითხვებში გადამხდელი მასა—გლეხობა.

რომ ეს ასე იყო, სხვათა შორის თქმიდანაც სჩანს, რომ მიწათმოქმედების გარეშე შემოსავალი არ შეჰქონდათ აღრიცხვაში, ნაკლები ყურადღება ექცეოდა გადასახდელის ოჯახის შემადგენლობას და სხვ.

ამასთან ერთად გადასახადის აკრეფას გულგრილათ ეკიდებოდა ზოგიერთ შემთხვევაში თვით საგადასახადო აპარატი. არსებობდა საერთო წესი, რომ, რაკი წელს გადასახადი შარშანდელთან შედარებით ბევრათ შემცირებულია, არ არის მოსალოდნელი მისი აკრეფის შეფერხება.

სინამდვილემ ეს იმედები არ გაამართლა. სწორეთ ასეთი გულდამშვიდებული უმოქმედობა და მთელი რიგი ზემოთჩამოთვლილი დაბრკოლებები, გახდა გადასახადის დროზე აუკრეფლობის მიზეზი.

ასე მაგალითად, 1 იანვრისათვის ნაცვლად ნავარაუდევ 65 პრო ც ტი-სა მთელ საქართველოში აკრეფილია გადასახადის 54 პროცენტი. და ეს ყველაფერი მაშინ, როცა წელს სასოფლო-სამეურნეო ვადასახადი შემცირებულია ორჯერ მეტად თუ შარშან თითო კომლზე საშუალოთ მოდიოდა 8 მ ნეთი და 90 კაპ., წელს ერთ მეურნეობას ხვდება წილად მხოლოდ 3 მანეთი და 75 კაპეიკი.

ასეთია მიმდინარე სასოფლო-სამეურნეო გადას ხადის ვითარება. მას წარმატებით შესრულებას აქვს არა მარტო ეკ ნომიური, არამედ უაღრესი პოლიტიკური მნიშვნელობაც. გადასახადი აკრეფის ნაწილობრივი შეფერხება აის ნება არა მოსახლეობის სურვილით, რომ გაიქცეს თავის მოქალაქეობრივ მოვ ლეობის მოხდას, და არც მით უფრო ამ გადასახადის სიმძიმით, არ მედ პირველყოვლისა ჩვენი აპარატის მოუქნელობით, საგადასახადო დისციპლ ნის სისუსტით და უკანასკნელათ ამა თუ იმ სტიქიური ობედურებით, რომელსაც, რა თქმა უნდა, ვერ ჰქონია საზოგადო ხ სიათი და ამიტომ ვერ მივაკუთვნებთ გად შწყვეტ ბისმ შენელობას.

მაშასადამე, საჭიროა ჩვენი საგადასახადო აპარატის აღმ ჩრვება, საჭიროა საბიუჯეტო დისციპლინის განსაკუთრებული სიმტკიცით გატარება, რომ შესრულებულ იქნას დანიშნულ ვადამდე მთელი გადასახადის აკრეფა.

ვიც ბოროტი განზრახვით გაურ. ბის გადასახადის შეტანას, დაუყოვნ. ებლივ უნდა გადაეცეს სასამართლოს. დამნაშავე პ რების გასამართლება მეძლების და გვარათ უნდა ხდებოდეს საჯარით. გარდა ამისა ერთხელ და სამუდამოთ უნდა შევაგებინოთ ადამხდელ მასას, რომ ყველასთვის ავალდებულოა შეწერილ გადასახადის შეტანა და არავის ეპატიება დაგვიანება, როგორც ამას წინათ ჰქონდა ადგილი.

საჭიროა ამ საქმეში სოფლის პარტიულ და საზოგადოებრივ ორგანიზაციათა აქტიური დახმარებაც. საერთო ძალით, სახელმწიფო აპარატის და მოსახლეობის მხურვალე მონაწილეობით უნდა შეკრეფილ იქნას სრულად ისედაც მცირე სასოფლო-სამეურნეო გადასახ. ღი.

ფინანსიური კრიზისი საფრანგეთში

პარლამენტს არ ძალუძს საფრანგეთის პრობლემის გადაჭრა

პარიზი, 2 თებერვ. ჰავასის სააგენტო იუწყება, რომ საფრანგეთის დეპუტატთა პალატა განაგრძობს საფინანსო პროექტების განხილვას.

2 თებერვალს სიტყვა წარმოსთქვა **ბრიანმა**, რომელმაც განაცხადა:

„მე დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენს კიდით სურვილზეა დამოკიდებული შექმნილ დაბრკოლებების გადა ლ.ხვა.

ბრიანის აზრით, მიღებულ უნდა იქნეს პირდაპირი გადასახადები და გამოცხადოს ბრძოლა სპეკულიაცას. მთავრობის კანონპ ოექტი, ორიანის სტატ ვით, რაც შეიძლება სასწრაფოდ უნდა გატარდეს ცხოვრებაში. მთაერობა მოუწოდებს მთელს პალატას მასთან ნორმალურ თან მ ბრ ობისაკ ნ. პარტ ების წარმომადგენლებს უნდა ესმოდეთ ამოცანის უდიდესი მნიშვნელობა, უნდა გაიგონ თუ რას მოითხოვს ქვეყნის ინტერესები.

ბრიანის სიტყვის შემდეგ პალატამ დაადგინა გადავიდეს პროექტის ძირ ლობრივ განხილვა-ზე, როგორც ამას მოითხოვდა მთაერობა.

შემდეგ პალატამ 315 ხმით, 228-ის წინააღმდეგ დაადგინა შეიტანოს ხე ლისუფლების განხილვას პროექტის ა სებული გადასახადების მოწესრიგების და რეორგანიზაციის შესახებ.

საერთო კომ ტი საფინანსო პროექტების შესახებ საფრ. ნგეთის პალატაში დამთავრდა 2 თებერვალს, რადგან შეტანილ იქნა წინადადება საკითხის განხილვის გადადების შესახებ.

კომუნისტ დეპუტატმა გარ შერა თავის სიტყვაში ხაზი გაუსვა პალამენტის უძლურებას, რომ გადასულიყო ის საკითხოროტო საკითხი, რომელიც სდგას მის წინაშე 1919 წლიდან. ორი ან ლი პროექტი მთავრობისა და საფინანსო კომისიისა, სრულიადაც ვერ გადაწყვეტენ საკითხს, რადგან ესენი ისევე არიან განწირულნი, როგორც გადასახადების გადიდების პროექტი, რომელიც თავის დროზე წამოყენებულ იქნა ნაციონალურ ბლოკის მიერ. საფინანსო კომისიის პროექტი—ეს იგივე მემარცხენე ბლოკის გადაშენებული პროექტია, რომლის მიზანიც არის დუმერის პროექტთან დაახლოვება. მემარცხენე ბლოკმა 20 თვის განმავლობაში ვერც ერთი თავის დაპირება ვერ შეასრულა ამომრჩეველების წინაშე, რადგან მის მიერ განზრახული ზომები მცირედენაც ვერ აფერხებენ ქალდანის ფულის ბეჭვდას, რაც უზომო სიძვირეს იწვევს, ყველა მშრომელებია და ხაშუალო კლასებს.

მუშების მოტყუების მიზნით

პარიზი, 2 თებერვ. სოციალისტების დაჟინებითი მოთხოვნის გამო, საფინანსო კომისიის განზრახვა აქვს დაიწყოს იმ მუხლების განხილვა, რომლებიც აწესებს პირდაპირ გადასახადებს და ზომებს გადასახადისაგან თავის დაღწევის წინააღმდეგ.

ამრიგად, სოციალისტები სცდილობენ გამოაკეთონ თავისი მდგომარეობა, რადგან პირდაპირი გადასახადების მიღება საშუალებას მისცემა მათ გაამართლონ ხმა მიცემა არაპირდაპირი გადასახადებისათვის, რომლებიც, თითქოს, ძალიან საჭიროა ხაზინისათვის.

რა ხდება პოლონეთში

სიმშილობა ვილნოს ციხეში

ვილნო, 2 თებ. მუშათა და გლეხთა გრომადის ბელორუსიის ფრაქციამ სეიმში შეიტანა შეკითხვა, თუ რა მდგომარეობაში არიან პოლიტ კური პატიმრები ვილნოს ცხ ში, რომელიც ცნობილია ლუკიშკის სახელწოდებით.

პატიმრები იმყოფებიან საშინელ პირობებში, სიმშილობენ და მოკლებული არიან სეირნობის საშუალებას.

თავისი მინიმალური უფლებების დასაცავად პატიმრები იძულებული გახდენ გამოეცხადებიათ სიმშილობა და წამოეყენებინათ მოთხოვნილება: სანიტარული პირობების და კვების გაუმჯობესებაზე, 2 საათით გასეირნება ყოველდღიურად, თავისუფალი პაექანი.

ბელორუსიის ფრაქცია მოითხოვს დასჯილ იქნენ დამნაშავენი, რომელთაც თავიდა მოქმედებათ გამოიწვიეს სიმშილობის გამოცხადება ციხეში.

ერთიანი ფრონტი გერმანიაში

ბერლინი, 2 თებ. კომპარტიასა და სოციალ-დემოკრატიას შორის მიღწეულია შეთანხმება ყოფილ სამეფო გვარეულობათა ჩამორთმეულ ქონების ანაზღაურების საკითხზე საყოველთაო პეტიციის ტექნიკური მხარის შესახებ.

პლაკატების დაბეჭდვის ხარჯებს ორივე პარტია თანასწორად კისრულობს. ხელმოსაწერ უფურცლებს ამზ დებს ორივე მხარე და აგზავნის პროვინციაში. პასუხისმგებელ თავიდან ასაცილებლად ორივე პარტიის ადგილობრივი ორგანიზ ციები საერთო მუშაობას შეთანხმებულად აწარმოებენ.

აგიტაციის თვითეული პარტია ცალკე აწარმოებს.

ინგლისის თემთა პალატაში

კამათი მეფის სიტყვის გარშემო

ლონდონი, 3 თებ. თემთა პალატაში გაიმართა კამათი მეფის სიტყვის გარშემო. კონსერვატორმა ხერტსმა აღნიშნა, რომ მეფის სიტყვაში აღნიშნული აღმოსავლეთ აფრიკის განვითარების პროექტი ნიშნავს ინგლისის მასალებზე მოთხოვნილების გადიდებას ადგილობრივ ოკ ბას გზებისათვის, ასევ ბაზრების გახსნას ინგლისის საქონლისათვის და ბამბის კულტურისათვის მსოფლიო. ეთში. ის ესალმებოდა მთ ერობის წინადადებებს გეშების მომხსენებლის და ელექტროფიკაციის შესახ ებ. მუშათა პარტიის ლიდერი აკრიტიკებდა მეფის სიტყვას, რადგან ის სრულებით არ შეხებია იმ სოციალურ და ეკონომიურ ამ ებს, რომელთაც ამ უკანასკნელ დროს ადგილი ჰქონდა სახელმწიფოში.

კლაინსი ეხება ნახშირის მრეწველობის მდგომარეობას და აღნიშნავს, რომ ყველა დაეთანხმება მეფის სიტყვაში მოყვანილ განცხადებას, რომ ამ საკითხში ერის ინტერესებს უპირველესი ადგილი უჭირავს. მაგრამ ყველას აწუხებს ის გარემოება, რომ მილიონები, რომელსაც ერი ხარჯავს ნახშირის მოწველობის და ხმარებელად, ვერ შეუყოფს ხელს მშვიდობიანობის უზრუნველყოფ ს მრეწველობაში. კლაინსი მიესალმა სრულიადაც ვერ გადაწყვეტენ საკითხს, რადგან ესენი ისევე არიან განწირულნი, როგორც გადასახადების გადიდების პროექტი, რომელიც თავის დროზე წამოყენებულ იქნა ნაციონალურ ბლოკის მიერ. საფინანსო კომისიის პროექტი—ეს იგივე მემარცხენე ბლოკის გადაშენებული პროექტია, რომლის მიზანიც არის დუმერის პროექტთან დაახლოვება. მემარცხენე ბლოკმა 20 თვის განმავლობაში ვერც ერთი თავის დაპირება ვერ შეასრულა ამომრჩეველების წინაშე, რადგან მის მიერ განზრახული ზომები მცირედენაც ვერ აფერხებენ ქალდანის ფულის ბეჭდვას, რაც უზომო სიძვირეს იწვევს, ყველა მშრომელებია და ხაშუალო კლასებს.

მუშების მოტყუების მიზნით

პარიზი, 2 თებერვ. სოციალისტების დაჟინებითი მოთხოვნის გამო, საფინანსო კომისიის განზრახვა აქვს დაიწყოს იმ მუხლების განხილვა, რომლებიც აწესებს პირდაპირ გადასახადებს და ზომებს გადასახადისაგან თავის დაღწევის წინააღმდეგ.

ამრიგად, სოციალისტები სცდილობენ გამოაკეთონ თავისი მდგომარეობა, რადგან პირდაპირი გადასახადების მიღება საშუალებას მისცემა მათ გაამართლონ ხმა მიცემა არაპირდაპირი გადასახადებისათვის, რომლებიც, თითქოს, ძალიან საჭიროა ხაზინისათვის.

ინგლისის პარლამენტის სესია

ლონდონი, 2 თებ. ინგლისის პარლამენტის სესია გაიხსნა მეფის სიტყვით.

მეფის სიტყვის შემდეგ გაშოვიდა მუშათა პარტიის წევრი კლაინსი, რომელმაც გააკრიტიკა მთავრობის პოლიტიკა საბჭოთა კავშირის მიმართ.

პრემიერი ბალდუინი თავის სიტყვაში შეეხო განიარაღების კონფერენციას და განაცხადა, რომ რადგან ხუთი სახელმწიფო თხოვლობს კონფერენციის გადადებას, ინგლისი იძულებულია დაეთანხმოს უმრავლესობის სურვილს.

„საბჭოთა კავშირი მოწვეული იყო ამ კონფერენციაზე,—სთქვა ბალდუინმა,—იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ კონფერენციის გადადება საშუალებას მისცემს მას აწონდ-წონოს ეს საკითხი და მიიღოს გადაწყვეტილება კონფერენციაში მონაწილეობის შესახებ, რადგან დასავლეთ ევროპას პრაქტიკულად არ შეუძლია რეალურ პროგრესს მიაღწიოს განიარაღების საკითხში, თუ მასთან არ ითანაშრომლა აღმოსავლეთმა“.

გალკანეთის საგარანტიო ხელშეკრულება

კონსტანტინეპოლი, 2 თებერვ. ოსმალეთის გაზეთი „ხალკი“ აღნიშნავს, რომ ბალკანეთის საგარანტიო ხელშეკრულების დადების იდეა ეკუთვნის ინგლისს და წარმოადგენს ინტრიგას, რომელიც მიმართულია ოსმალეთის წინააღმდეგ. გაზეთი სთვლის, რომ ბალკანეთის სახელმწიფოები დამოკიდებულნი ხდებიან ევროპის იმპერიალისტებისაგან.

მთავრობის ორგანო „ჯუმჰურიეტი“ აზრით ბალკანეთის ხელშეკრულების იდეა, რომელსაც მხარს უჭერს პანგალოსის მთავრობა, მიზნად ისახავს შექმნას დასაყრდენი ბოლშევიკური ლოკარნოს ხელშეკრულებისათვის. ბალკანეთის ხელშეკრულებას ისე როგორც ლოკარნოსას, აღმოსავლეთის მიმართ იმპერიალისტური ხასიათი აქვს.

ვინ არის ნამდვილი მკვლელი

პარიზი, 2 თებერვ. [illegible] მტკიცების გამო, თითქოს სპასპლო-არმ ამ ხელშეკრულება დასდო საბჭოთა კავშირთან, დეპეშები აღნიშნავენ, რომ „არის ერთი მოღალატე, რომელიც ცდილობს ინტრიგების ქსელის გაბმას და იმავე დროს ხაიდუმლო ხელშეკრულებას სდებს ეთ ხახელმწიფოებთან; ეს მოღალატე ჰყავდის თავის ხმას და ატყუებს ხამშობლოს პარადი მიზნისათვის“.

გომინდანის კონგრესის დახურვა

კანტონი, 2 თებ. 19 იანვარს დაიხურა გომინდანის კონგრესი. მიღებულია რეზოლუცია, რომელიც ეხება ჩრდილოეთ-ჩინეთში მყოფ ს ხალხო არმიებს და მოითხოვს სახალხო მთავრობის შექმნას და ნაციონალური კრების მოწვევას.

საბოლოო სიტყვაში კონგრესის თავმჯდომარე ვან-ჩინ-ვეი აღნიშნა, რომ კონგრესი არ დაკმაყოფილდა გომინდანის პირველი ყრილობის შემდეგ მიღწეულ გამარჯვებებით, არამედ გულახდილად აშკარად გააკრიტიკა ყველა შეცდომები და შეეცადა გზა გამოეჩინა შესასწორებლად.

დასასრულ ვან-ჩინ-ვეიმ რწმენა გამოსთქვა, რომ გომინდანის ესმე კონგრესი უკვე გაიმართება ნანკინში ან პეკინში რევოლუციის გამარჯვების შემდეგ და მაუთითა რკინისებური დისციპლინის განხორციელების აუცილებლობაზე, ვინაიდან მხოლოდ ასეთ დისციპლინას შეუძლია პარტიის გამაგრება და წარვნა გამარჯვების გზით.

ფინეთის მენშევიკების ჭრილობა

ჰელსინგფორსი, 2 თებ. 1 თებერვალს გაიხსნა ფინეთის სოციალ-დემოკრატიული პარტიის მე-14 ყრილობა. ყრილობას ესწრება მენშევიკი დანი.

იაპონია და მანჯურია

ტოკიო, 2 თებ. ქვედა პალატის სხდომაზე სეიუკაის პარტიის წარმომადგენელი ოგავა შეეკითხა გარეშე საქმეთა მინისტრს იაპონიის მთ ერობის პოლიტიკის შესახებ მანჯურიაში. გარეშე საქმეთა მინისტრმა თავის პასუხში განაცხადა: „ჩვენთა პასუხისმგებელია მშვიდობიანობის და წესრიგის დაცვისთვის მანჯურიაში. ჩვენ ვერ გავნაწილებთ ჩინეთთან ერთად ამ პასუხისმგებლობას“.

კატოს დასაფლავება

ტოკიო, 2 თებ. კატო დაასაფლავეს 2 თებერვალს. პარლამენტის სხდომები გადადებულია.

ექსპორტის გაძლიერების-თვის

მოსკოვი, 3 თებ. „პრავდა“ მოწინავეში „ექსპორტის გაძლიერების თვის“ სწერს:

„დღევანდელი დღის ერთ-ერთ მთავარ სამეურნეო ამოცანას შეადგენს სასოფლო მეურნეობის პროდუქტების ექსპორტის გაძლიერება. იმისთვის, თუ რამდენათ კარგათ და მალე შეეძლებით ჩვენ ამ საკითხის გადაჭრას, დამოკიდებულია ჩვენი ვალიუტის განმტკიცება, სახელმწიფო ორგანოების კონტროლის ქვეშ, ის რომლებიც აწესრიგებენ გაჭრობას.

სასოფლო-სამეურნეო ექსპორტის ენერგიულათ განვითარების და სახელმწიფო ეკონომის და კოოპერაციის აპარატის შეთანხმებულათ ზოგადებრივი მეურნეობის განვითარების საერთო საქმე ძლიერ წაიწევს წინ.

ინგლისის პარლამენტის სესია

ლონდონი, 2 თებ. ინგლისის პარლამენტის სესია გაიხსნა მეფის სიტყვით.

მეფის სიტყვის შემდეგ გამოვიდა მუშათა პარტიის წევრი კლაინსი, რომელმაც გააკრიტიკა მთავრობის პოლიტიკა საბჭოთა კავშირის მიმართ.

პრემიერი ბალდუინი თავის სიტყვაში შეეხო განიარაღების კონფერენციას და განაცხადა, რომ რადგან ხუთი სახელმწიფო თხოვლობს კონფერენციის გადადებას, ინგლისი იძულებულია დაეთანხმოს უმრავლესობის სურვილს.

„საბჭოთა კავშირი მოწვეული იყო ამ კონფერენციაზე,—სთქვა ბალდუინმა,—იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ კონფერენციის გადადება საშუალებას მისცემს მას აწონდ-წონოს ეს საკითხი და მიიღოს გადაწყვეტილება კონფერენციაში მონაწილეობის შესახებ, რადგან დასავლეთ ევროპას პრაქტიკულად არ შეუძლია რეალურ პროგრესს მიაღწიოს განიარაღების საკითხში, თუ მასთან არ ითანაშრომლა აღმოსავლეთმა“.

შეცდომის გასწორება

ჩვენი გაზეთის გუშინდელ ნომერში ამხ. აკ. პაპნინის წერილში—„ყოფილი დიპლომატის ნაამბობი“ გაიპარა ბრალეული კორექტორული შეცდომები. ვასწორებთ ყველაზე უფრო დამახინჯებულ ადგილებს.

პროფ. ავალიშვილის და დ—რ სიმონსის საუბარში, სადაც ლაპარაკია საქართველოში გერმანიის წარმომადგენლობაზე, სწერია: „მან (ავალიშვილმა) გა-კვეული და ითუკა-მოკიბაკი პასუხი მიიღო: „ფორმალურად იგი ჩვენთვისაც დიპლომატიური წარმომადგენელი იქნება, ა-ს ბითად, შეიძლება უახლოვდებოდეს ინგლისის პრეზიდენტს (უნდა იყოს რეზიდენტს) ინდოეთში“.

იქ, სადაც ლაპარაკია ვილჰელმ მეორის წარმოდგენაზე საქართველოს შესახებ, სწერია: „ეს სანიტერესო იმდენად, რამდენადაც ასეთი წარმოდგენა ეხებარებოდა (უნდა იყოს ეხამებოდა) იმ ხანებს, რომლითაც გამჩაღებული იყო „კულტურთა ხაომი“ გერმანიი დემოკრატიულ „ოთხისათვის“.

გარდა ამისა გაზ. „Temps“-იდან მოყვანილ ციტატაში გამოვარდნილია ხუთი სტრიქონი, რომელიც მოხვედრია 78 სტრიქონით ზევით, იქ, სად ც ლაპარაკია: „ამიერ-კავკასიის ბარიერი ჩრდილოეთიდან—ხლო აღმოსავლეთისა. ის ხუთი სტრიქონი, რომელიც მისდევს ამ სიტყვებს, ეკუთვნის, როგორც აღვნიშნეთ, გაზ. „Temps“-ის ციტატას და წარმოვადგენს შემდეგი წინადადების ნაწილს: „შეუძლებელია მოკავშირეები შეურიგდენ, რომ თავდასხმით ან ბოლშევიკური შეთქმულებით მოსპობილ იქნეს ფაქტიური დამოუკიდებლობა, რომელიც უკვე ორი წელიწადია, რაც ფაქტიურად ძირითად რუსეთის იარაღივ მკვიდრებმა ხალხებმა“.

განიარაღების კონფერენცია
გადაიდო 15 მაისამდე

პარიზი, 2 თებერვალი. როგორც შევახსენეთ ხაგენტო იუწყება, ერთა ლიგა აუცილებლად მიიღებს საფრანგეთის, იტალიის იაპონიის, ჩეხოსლოვაკიის და ურაგვაის წინადადებას განიარაღების წინასწარი კონფერენციის მოწვევის გადადების შესახებ.

ფიქრობენ, რომ კონფერენცია გადადებულ იქნება 15 მაისისათვის.

დანია-საბჭოთა კავშირის ვაჭრობა

სტოკჰოლმი, 2 თებერვ. გაზეთი „ბერლინსკი ტიდენდე" ათავსებს წერილს სავაჭრო ურთიერთობის შესახებ საბჭოთა კავშირთან. გაზეთი აღნიშნავს, რომ უკანასკნელ წელს საბჭოთა კავშირის ექსპორტი დანიაში გაიზარდა 72 მილ. ტონამდე, მაშინ როცა დანიის ექსპორტი საბჭოთა კავშირში უდრის მხოლოდ 2 მილიონ კრონს.

ჩემბერლენი თავს იმართლებს

ლონდონი, 2 თებერვ. ინგლისის საგარეო საქმეთა სამინისტრო უარყოფს გაზ. „მანჩესტერ გარდიენის" ცნობას, თითქოს ინგლისის მთავრობამ პოლონეთს აგრძნობინა, რომ სასურველია უკანასკნელის შეიარაღების გაძლიერება.

სუხომლინოვის სიკვდილი

ბერლინი, 2 თებერვ. გარდაიცვალა ყოფილი მეფის სამხედრო მინისტრი სუხომლინოვი.

რემედასის აღმასკომის მოწოდება

მოსკოვი, 3 თებ. ბალკანეთზე არსებული ტერორის გამო, რემედასის აღმასკომმა მიმართა ყველა ქვეყნის მშრომელთ მოწოდებით, რომელშიაც ნათქვამია:

„ტერორი ბალკანეთზე წინარდებურად ძლევსვარებს. ბულგარეთის ჯალათების, ცანკოვის, მისი სახელოვანი მემკვიდრის ლიაპჩევის და რუმინეთის მუშების და გლეხების მტარჯველი ბატიანეს კვალს მიჰყვება სერბრნეთის სამხედრო დიქტატორი პანგალოსი, რომელ მაც ციხეში ჩალაპო ბრმების კლასების საუკეთესო წარმომადგენლები, გაამრავლა სიკვდილით დაღის განაჩენები და მ მოიღო სასიწინელი კანონი „სახელმწიფოს დაცვის შესახებ". უკანასკნელ დროს ტერორის ტალღა სამხრეთ-სლავეთსაც ეხება.

პროტესტი განაცხადეს სამხრეთ-სლავიის მუშების წამების წინა ღმდეგ ევროპიელ დაპატიმრებულთა გამო თავის ფლება.

ბალკანეთის რეაქციის და ტერორის შეკავშირებაზე ეუპასუხოთ ყველა ქვეყნის მშრომელთა შეკ ვშიერებით რეაქციის წინა ღმეც საბრძოლ ლად რემედასის ხელშეკვ ნელობის ქვეშ.

საბჭოთა კავშირი

რუსეთი
წესები მიწების და ქონების გაყოფის შესახებ

მოსკოვი, 31 თებ. მიწათმოქმედების სახ. კომისარიატთან გლეხების მონაწილეობით განხილული იქნა მიწათმოქმედების სახ. კომისარიატის მიერ გამომუშავებული წესები ღარიბ გლეხთა მიწების და ქონების გაყოფის წესის შესახებ.

კრებამ გაილაშქრა ღარიბ გლეხთა კარ-მიდამოს გაყოფის წინააღმდეგ და გამოსთქვა აზრი, რომ გაყოფა უნდა მოხდეს თანდათანობით. სასოფლო-სამეურნეო ინვენტარი, თუ იგი საკმარისი არ არის ძირითადი მეურნეობისათვის, არ უნდა გაიყოს.

გაყოფილი უნდა იქნას მხოლოდ ოჯახში სახმარებელი ნივთები.

თათბირი სარეკლამო და გეზდვითი სიტყვის საკითხებზე

მოსკოვი, 3 თებ. საკავშირო ვაჭრობის სახ. კომისარიატთან გაიმართა თათბირი სარეკლამო და ბეჭდვითი სიტყვის საკითხებზე.

თათბირმა დაადგინა შემოღებული იქნას პროცენტული დაჯილდოება საგაზეთო რეკლამაზე 12 პროცენტამდე მოსკოვისათვის და 17 პროცენტამდე პროვინციისათვის. საჟურნალო რეკლამაზე დაჯილდოების პროცენტი შემოღებული იქნას—15 პროცენტამდე მოსკოვისათვის და 20 პროცენტამდე პროვინციისათვის დამატებით. დაჯილდოების პროცენტი პერიოდული ცნობარებისათვის—12 პროცენტამდე მოსკოვში და 17 პროცენტამდე პროვინციაში.

შედავათიან დაჯილდოვებათა ტარიფების შესახებ

მოსკოვი, 3 თებ. სოციალური დაზღვევის საკავშირო საბჭოს თავმჯდომარემ ნემჩინკომ საკავშირო სახ. კომისართა საბჭოს წარადგინა მოხსენება, რომელშიაც აღნიშნულია, რომ უკანასკნელ ხანებში ზოგიერთი საკავშირო რესპუბლიკები დამოუკიდებლად აწესებენ შეღავათიან დასაზღვევ ტარიფს ცალკე დამქირავებელთათვის. ეს არა თუ არ ეწინააღმდეგება მომჭირნე ქანონმდებლობას ტარიფების ზესახებ, რომლის თანახმად ტარიფებს აწესებს მთლიდ საბჭოთა კავშირის ცაკა და სახ. კომისართა საბჭო, არამედ იწვევს დაწესებულ სიმაღლის ტარიფების ლიკვიდაციას და დასაზღვევ ფონდების ცენტრალური გამგრების მოქმ დება.

ამის გამო ნემჩინკო სთხოვს სახ. კომისართა საბჭოს სასწრაფო დირექტივები გაუგზავნოს რესპუბლიკებს სახ. კომისართა საბჭოებს.

მფრინავების და მექანიკოსების დაჯილდოება

მოსკოვი, 3 თებ. დამსახურებული ფრინავები ვოლკოვი ნოვიკი და გორშკოვი და ბორტ-მექანიკოსები კუზნეცოვი და როდზევიჩი მოსკოვიდან ჩინეთ-იაპონიაში გადაფრენისათვის დაჯილდოებული იქნენ სიგელებით, რომელთაც ხელს აწერს რკოვი.

საბჭოთა კავშირის მეცნიერთა ჯირილოვა

მოსკოვი, 3 თებ. სამეცნიერო დარგის მუშაკების ცენტრალურმა ბიურომ საბჭოთა კავშირის მეცნიერთა მეორე ყრილობა დანიშნა 8 მაისისათვის.

ცენტრალური ბიუროს წინასწარი პლენუმი გაიმართება 6 მაისს.

ოქრთქმავალების კაპიტალური შეკეთება

მოსკოვი, 3 თებ. გზათა სახალხო კომისარიატსა და ლითონის მრეწველობის მთავარ სამმართველოს შორის დადებულია ხელშეკრულება „იუჟმაშტრესტის" ქარხნებში 100 ორთქლმავალის შეკეთების შესახებ. 70 ორთქლმავალი შეკეთებული იქნება 70 ორთქლმავალი, ლუგანის ქარხანაში—30. მუშაობა დამთავრდება 1926 წ. 30 სექტემბერს.

საბჭოთა არჩევნები

მოსკოვი, 3 თებ. მოდის ცნობები საბჭოთა არჩევნების წარმატებით მსვლელობის შესახებ.

ბურიატო-მონღოლთა რესპუბლიკაში საბჭოთა არჩევნებში მონაწილეობა მიიღო ამრ ეველთა ნახევარზე მეტმა. ზოგიერთ ულუსებში (სოფელში) მონაწილეობა მიიღო ყველა პროცენტმა.

ტიუმენის ოლქში (ციმბირი) ჩატარებულ იქნა ღარიბ გლეხობის კრებები, რომელთაც კარგი შედეგი ჰქონდა.

ზატროვის რაიონში, მიუხედავად იმისა, რომ კრებებში მონაწილეობას იღებდენ შეძლებული გლეხები, ღარიბ და საშუალო გლეხებმა შეიტანეს თავიანთი კანდიდატები.

ოქუსკში (ურალზე) ქალაქის საბჭო არჩევნებში მონაწილეობა მიიღო ამრჩეველთა 64 პროცენტმა.

ადგილობრივი მეწვრილმანე ტრესტების გადაცემა გლეხობისათვის

10 თებერვლიდან იგება დართულია ივლისისტანიდან საბჭოთა კავშირში შემდეგი საქონლის ულიცენზიოთ შემოტანა: მატყლის, ცხენების, შუშა საქონლის, ბეწვეულის, ფლრ.ფის, კეერცხის, ხორცის, რძის პროდუქტების და უბრალო ბოსტნეულის.

ძალაში რჩება საგარეო ვაჭრობის სახ. კომისარიატის შემოღებული წესი საბჭოთა კავშირიდან ულიცენზიოთ ზემოდ აღნიშნულ ქვეყნებში ყველა საექსპორტოთ ნაბადარჩენულ საქონლის გატანისა.

იმ საქონლის ექსპორტი, რომლის გატანაზე შემოღებულია კონტინგენტი, შეიძლება წარმოებულ იქნეს მხოლოდ სალიცენზიო წესით.

მუშა-ქალთა საერთაშორისო დღისათვის

მოსკოვი, 3 თებერვ. მუშა ქალის მომავალ საერთაშორისო დღის გამო საკავშირო პროფსაბჭომ მიმართა ყველა პროფორგანიზაციებს წერილით, რომელშიაც ნათქვამია:

წარსული გამოცდილების მიხედვით პროფორგანიზაციებმა უდიდესი ყურადღება უნდა მიაქციონ, რომ როგორც საე თაშორისო დღის მოსამზადებელ მუშაობაში, ისე მის ჩატარებაში მონაწილეობა მიიღონ არა მარტო მუშა ქალებმა, არამედ მუშებმაც. საჭიროა, რომ მოსამზადებელ მუშაობის დროს კავშირის ორგანიზაციების პრეზიუმთა სხდომებზე, ფაბ-ით და ქარხნების ადგილკომების და საერთო ს დელეგატ კრებებზე საანგარიშო მოხსენებებთან ერთად, რომელნიც მუშა ქალს შრომის პირობების და ყოფა-ცხოვრების გაუმჯობესების საკითხს შეეხება, ისმებოდეს ამრეთვე დასახული ამოცანების პრაქტიკულად განხორციელების საკითხი, ირჩეოდეს კოლექტიური წინადადებები მუშა-ქალის ყოფა ცხოვრების გაუმჯობე სების შესახებ.

პროფორგანიზაციებმა ჯამი უნდა გაუკეთონ პროფკავშირების წლიურ მუშაობას მუშა ქალის მდგომარეობის გაუმჯობესების სფეროში და იმას, თუ რამდენად ტარდება ცხოვრებაში პროფკავშირთა სრულიად საკავშირო ყრილობის დირექტივები მუშა-ქალთა შესახებ.

მუნიციპალთა სრულიად საკავშირო ყრილობა

მოსკოვი, 31 იან. მუნიციპალთა სრულიად საკავშირო ყრილობაზე 2 თებერვ ს საკავშირო პროფკავშირთა ცენტრალურ სბჭოს თავმჯდომარემ გააკეთა ვრცელი მოხსენება მუნიციპალთა კავშირის ამოცანების შესახებ.

„მუნიციპალთა კავშირი—სთქვა ტომსკიმ—განუწყვეტლივ იზრდება. ხლო მოსავალში ამ კავშირის რიგებში თავმოყრილი იქნება არა ნაკლებ ერთი მილიონი წევრისა. სოფლიდან ახალ მუშების ძირითადი კადრები მოდიან. მუნიციპალთა კავშირის წინაშე დასმულია ნახევრად-პროლეტარულ და არაპროლეტარულ ელემენტების კლასობრივად აღზრდის მნიშვნელოვანი ამოცან. კავშირმა ყოველ მხრივ უნდა დაიცვას ეს მასები.

მახლობელ პერიოდში პროფმოძრაობის წინაშე დასმულია მძიმე ყოველდღიური მუშაობის ამოცანები: წერა-კითხვის იღრიცხვა, მისი ეკონომიური ინტერესების დაცვა და მისი ნამდვილი აღზრდა.

მუშაობის პირობები რთული და ძნელია. ორმაგად ძნელია და პასუხისაგები მუნიციპალთა კავშირის მუშაობა. ამ კავშირმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციოს სეზონის მუშების კულტურულ აღზრდას.

მასების ინტერესებს უნდა მიეცეს უდიდესი ყურადღება. პროფკავშირი უნდა გახდეს კომუნიზმის სკოლაო".

დასასრულ ტომსკიმ უსურვა მუნიციპალთა კავშირის გადაწყობის გზაზე მდგომ ა სიძნელეები.

მიმოსვლა შავ-ზღვასა და ლენინგრად-შორის

ოდესა, 3 თებ ახალ ხანში დაიწყება გემების მიმოსვლა შავ-ზღვასა და ლენინგრადს შორის. „უგოლტალ"-ის უკვე დაუკვეთა ანგლისსა საზოგადოებას მარიუპოლიდან ლენინგრადში 7 მილიონი ფუთი რკინის და ფოლადის წაღება.

ნოემბრიდან მოყოლებული ამ ხაზით გადატანილი იქნება 5 მილიონი ფუთი ცემენტი.

ზეთი რკინის გადატანა ამცირებს ხარჯებს 7 ნაწილით ტონაზე.

ა.კ. ფედერაცია
აზერბეიჯანი

ბაქოს ნის მოზვენების გამოკვლევა

ბაქო, 3 თებერვ. მიწ.-მოქ. სახ. კომისარიატმა დაამტკიცა მომდინარე წლის სამუშაო გეგმა აზერბეიჯანში საქონლის მოშენების გამოკვლევის შესახებ. გამოკვლევის ამოცანას შეადგენს შესწავლა ჯიშებისა, რძის ნაყოფიერებისა, მატყლისა, ხორცის ღირსებისა და საკვებისა.

გამოკვლეული იქნება 4.000 დასახლებული პუნქტი. გამოკვლევა დამთავრდება 1930 წლ.

ცენტრიდან მიღებულია სხვადასხვა მასალები და მოწყობილობა ექსპედიციისათვის.

რაიონებათ დაყოფა

ბაქო, 3 თებერ. ლენქორანის აღმასკომმა გამოჰკო კომისია დაირას და სასოფლო საბჭოების რაიონებათ დაყოფისათვის, რადგან წარსწინდელ დაყოფის დროს ბევრ ადგილობაში არ იყო მიღებული დაბალი საფეხურის აპარატების მასებთან დაახლოების პრინციპები და აგრეთვე ეკონომიური მისწრაფება ამა თუ იმ ცენტრისაკენ.

კვალიფიციური მუშები

ბაქო, 3 თებერ. სახ. მეურნეობის უმაღლეს საბჭოსთან დაარსდა პროფტექნიკური განყოფილება, რომლის ამოცანას შეადგენს კვალიფიციური მუშათა მომზადებას და გადამზადების საკითხების მოწესრიგება.

სომხეთი
ჰიდრომელიორაციული მუშაობა

ერევანი, 3 თებერვ. მუშაობა ჰიდრომელიორაციის ასპარეზებზე დამთავრდა. სასწრაფო წესით სწარმოებს მონტაჟი. ენერგია პირველ რიგში მიეცემა ზეთის სახდელ ქარხანას.

ბაბების კამპანია

ერევანი, 3 თებერ. 20 იანვრამდე ერევნის რაიონში შესყიდულია 12.799 ტონი ბამბა. ბამბის მომავალი კამპანიის გეგმის შესამუშავებლათ სომხეთის ბამბის კომიტეტი 20 თებერვალს იწვევს ბამბის საწმენდი ქარხნების, შემყიდველი პუნქტების, წყალთა მეურნეობის და მიწათმოქმედების სახ. კომისარიატის წარმომადგენელთა თათბირს.

ყველის დასამზადებელი ქარხანა

ქვემო ახჯა, 3 თებერ. სოფ. თაჰაჩაურში დამთავრდა ყველის დასამზადებელი ქარხნის აგება. ქარხნის აშენება დაჯდა 10.000 მ.ნ.

მიწის დავთავება დაჯაროზე

ელენოვკა, 3 თებერ. 31 იანვარს მუშაობის დროს შემლუქას მაღარო ჩამოშავადა, დაზიანდა ერთი მუშა, რომელიც დაუყოვნებლივ გაგზავნილ იქნა საავადმყოფოში.

მიწათმოქმედების განყოფილების ფერადზე

ნოემბაიანი, 3 თებერ. მიწათმოქმედების განყოფილების ფერმამ მიიღო 6 თორკვირის ღორი გოჭებით და ქამდანის ჯიშიანი სახედრები.

ამიერ-კავკასიის აღმოსავლეთის საჭიროებათა განსაზღვრა

ამ დღეებში დაიბარა აღმოსავლეთთან სავაჭრო ურთიერთობის გამოფენა—მოწყობილი ა | კ.—აღმოსავლეთის სავაჭრო პალატის მიერ. ამის შესახებ პალატის გამგეობის მდივანმა ამხ. ხელ ნსკიმ ჩვენს თანამშრომელს განუცხადა შემდეგი:

— უნდა აღინიშნოს, რომ გამოფენამ ერთობ დიდი ინტერესი გამოიწვია ყველა სავაჭრო წრეებში. ორი კვირის განმავლობაში გამოფენა ინახულა 2.000 კაცმა. ამასთანავე იგი ინახულა ექსკურსანტების 16-მა ჯგუფმა, რომელთაც გააცნეს აღმოსავლეთთან ვაჭრობის ყველა ცალკეულ საკითხი.

გამოფენით ისარგებლეს აგრეთვე ა | კ. საგან. კომისიის სანაპ. ჯარის კეთილდღეობის, როგორც აღმოსავლეთთან ვაჭრობის შესასწავლი თვალსაჩინო მასალებით. მსგავსათავე ისარგებლეს საწარმოო ტექნიკუმის მოწაფეებმა.

გამოფენა ინახულეს მრავალმა მუშა-ექსკურსანტებმაც, რომლებიც თვალსაჩინო შედარებას ახდენდნენ დიაგრამების საშუალებით ა | კ. წარმოებასა და ცენტრალურ რაიონების წარმოებას შორის.

გამოფენის ნამდვილი სამეურნეო შედეგი მხოლოდ მომავალში გამოჩნდება. მაინც პირველივე დღე სასაფეიქრო სინდიკატთან დაიწყო მოლაპარაკება ტილოს ქსოვილების დიდი პარტიის შეძენის შესახებ—სპარსეთისათვის. ა | კ. წარმოებას მნიშვნელოვანი გამარჯვება ერგო გამოფენაზე. დიდი შეკვეთა იქნა მიღებული ვაშლზე სტამბოლისათვის. ბაიპოსტან კავშირისაგან. მოთხოვნილება არის აგრეთვე აფხ-ზურ სამშიტზე, რომლის კოლექციებიც საუკეთესო ნიმუშს წარმოადგენდენ გამოფენაზე. გამოირკვა აგრეთვე, რომ შესაძლებელია ბაზრის აზრიანობაში საჭ.ახ. მიდევარობის და სხუს—ს ნაწარმოებთა გატანა. იქვეთ გათენება ბერეთვე სხუს—ს ლითონტრესტის ნაწარმოებთა, სახმი საგნები და ხილსაწყობი. სპარსელი ვაჭრები განსაკუთრებით ყურადღებას აქცევდენ ფერად ლითონის ნაწარმოებთა, რის ფასიც აქ უფრო დაბალ დგას, ვიდრე სპარსეთში.

შეიძლება ითქვას, რომ ამ გამოფენაზე ა | კ. გალაშქრება ეკისი საძ.ყარნო მრავალი შესაძენებლობანი, რომელთაც აქნობამდის არ ეცნობდა ახლო აღმოსავლეთი. (მაგალითად აბრეშუმის დამუშავება, მაუდეულობა, შინამრეწველობის საგნები, აბრეშუმის ყაში, ბამბა და სხვ.). ამ გამოფენამ აჩვენა დაანახვა ყველას, რომ საბჭოთა კავშირთან ვაჭრობა საეკონომიო ურთიერთობის განვითარება საეკონომიო გაღონის ახლოს თვით ამაყე აღმოსავლეთის ქვეყნებზე. ამ გამოფენაზე წაქცებულა ა-კ. მრავალი საეკონო ორგანიზაციამ უკვე განაცხადა თავისი სურვილი—მონაწილეობა მიიღოს ბაქოს ბაზრობაზე. როგორც მოგეხსენებათ, აქნობამდის ამ ბაზრობაზე ა-კ. მეურნეობა ძალიან მცირე მონაწილეობას იღებდა.

ამჟამად პირველი დადებითი შედეგები ამ საყურადღებო გამოფენიდან.

საერთაშორისო ეკონომიური და პოლიტიკური მდგომარეობა და მსოფლიო რევოლიუციის პერსპექტივები
(კომინტერნის თეზისები*)

საერთაშორისო ეკონომიური და პოლიტიკური მდგომარეობა

1. კომუნისტური ინტერნაციონალის მეხუთე კონგრესმა აღიარა, რომ მსოფლიო კაპიტალიზმი მდგმარეობა გამოსწორდა. ეს გამოსწორება გამოიხატება ამერიკის სამრეწველო აყვავებაში, უმრავლეს ევროპიელ ქვეყნების განმტკიცებაში, საერთაშორისო ალებ-მიცემობისა და კრედიტის ნაწილობრივ აღდგენაში. კომუნისტური ინტერნაციონალის გაფართოებულმა აღმასკომმა (1925 წლის თებერვალსა და მარტში) აღნიშნა კაპიტალიზმის რელატიური (შედარებითი) სტაბილიზაციის ეს პროცესი და ამასთანავე თანამედროვე სიტუაციაში დაახასიათა როგორც სიტუაცია „რევოლიუციის ორ ტალღის შორის". სტაბილიზაციის **რელატივობა** ნიშნავს, რომ იმპერიალიზმის, ე. ი. მომაკვდავი, ნახევრად დამპალი კაპიტალიზმის ეპოქაში, დემობილიზაციის კრიზისი დაძლეული იქნა კაპიტალიზმის მიერ და მისმა ეკონომიურმა განვითარებამ ისეთ სიფეხურს მიაღწია, რომელიც, თუ ომის წინა დროსთან არა, ყოველ შემთხვევაში, ომის მომდევნო პირველ წლებთან შედარებით სტაბილიზაციას წარმოადგენს.

ამ ფაქტის აღიარების ნიადაგზე გაფართოებულმა აღმასკომმა კომუნისტურ პარტიებს სათანადო გეზი მისცა სტრატეგიისა და ტაქტიკის შესაცვლელად ახლანდელ ეპოქაში. ეს გეზი **რევოლიუციური პროლეტარიატის მთლიანი ფრონტის შექმნისკენ** უნდა იყოს მიმართული. ამიტომ როგორც წინათ, ისე ახლაც შეურყველი რჩება ლენინის ძირითადი შეხედულება თანამედროვე ისტორიული ეპოქის არსებითი ხასიათზე, სახელდობრ, რომ კაპიტალისტური მსოფლიო მრეწველობა – მეურნეობა თანდათან იშლება და სიკვდილს უახლოვდება; არავითარი ცვლილება არ მომხდარა იმ ძალების მოქმედებაში, რომელიც თანდათან ამწვავებენ იმპერიალისტურ ბანაკში არსებულ წინააღმდეგობათა, ხოლო მის პრინციპიალურ ანტაგონიზმს პირველი პროლეტარული სახელმწიფოს წინააღმდეგ გადამწყვეტ მომენტს უახლოვებენ.

თვით შორსმჭვრეტელი ბურჟუაზიული ეკონომისტები და პოლიტიკოსები ხანდახან ეჭვობენ, რომ კაპიტალიზმი შესძლებს სავსებით მსოფლიო ომის მიერ ძიყენებული ჭრილობების დაშუშებას. მხოლოდ სოციალ – დემოკრატიის თეორეტიკოსები, **ბაუერი, ჰილფერდინგი, კაუცკი, ადლერი** და სხვები ამტკიცებენ, რომ დაიწყო იმპერიალისტური სახელმწიფოების შინაგან წინააღმდეგობათა შესუსტება, გაძლიერდა განცალკევებულ ეროვნულ მრეწველობა – მეურნეობათა სოლიდარობა და ინტერესთა ერთობა კაპიტალისტურ წესწყობილებაში, რაიც აუცილებლად კლასთა ბრძოლის შესუსტებას გამოიწვევს და მშვიდობიან დემოკრატიულ განვითარებას სოციალიზმისკენ.

2. **დღევანდელი საფეხურის ანალიზმა,** მაშასადამე, ანგარიში უნდა გაუწიოს უკანასკნელი დროის ორ მოვლენას, რომელიც ბურჟუაზიის სოციალ – დემოკრატიის მიერ გამოცხადებულია კაპიტალიზმის რეკონსტრუქციისა (აღდგინს) და მის წინააღმდეგობათა დაძლევის დამამტკიცებელ საბუთათ: ერთი სიტყვით უნდა გამოკვლეულ იქნას **დოუესის** გეგმის და **ლოკარნოს** საგარანტიო ხელშეკრულების პირობები და შედეგები.

ეს ანალიზი რიგის მიხედვით შემდეგ პუნქტებში უნდა მდგომარეობდეს:

ა) შესაძლებელია თუ არა კაპიტალისტური ეკონომიკის აღდგენა? ხელ-ახალი აღორძინა?

ბ) სათ არის მიმართული განვითარების ტენდენცია იმპერიალისტურ ბანაკში და მის ურთიერთობაში სოციალისტურ მსოფლიო ბანაკთან, შერიგებისა და წინააღმდეგობათა გაძლიერებისა თუ მათ გამწვავებისა და ძალმომრეობითი გადაჭრისკენ?

გ) რა შედეგები მოჰყვება დღევანდელ ხანას პროლეტარიატის ყოფაქცევისა და მისი ბრძოლის შეძლებისთვის კაპიტალისტური კლასის წინააღმდეგ?

3. დღევანდელი მსოფლიო მეურნეობის ზერელე დაკვირვებაც კი ამტკიცებს, რომ ყალბია შესიდლება, თითქოს შესაძლებელი იყოს მთლიანი მსოფლიო მეურნეობის აღდგენა **წმინდა კაპიტალისტურ საფუძველზე.** მსოფლიო მეურნეობა, როგორც თანამედროვე პირობებისა, ისე მომავლის განვითარების ტენდენციის მხრივ საბჭოთა კავშირის არსებობის ფაქტით ორ ნაწილად არის გაყოფილი: ერთი მხოლოდ სდგას **კაპიტალისტური** მეურნეობა, მეორე მხრით **სოციალისტური** მეურნეობა. მარტოოდენ ეს ფაქტი შეუძლებლად ხდის მთლიან კონიუნქტურას კაპიტალიზმის მსოფლიოში და ყველა მის წინააღმდეგობებს გადაუჭრელ დილემამთ აქცევს. ეს დილემა შემდეგია: **ან ინფუსტრიის მოჩვენებითი აყვავება და აწეწილ-დაწეწილი ვალიუტა და ფინანსები, ან დროებით განმტკიცებული ვალიუტა, სახელმწიფო ბიუჯეტის წონასწორობა, ინდუსტრიის დაცემა და უზარმაზარი უმუშევრობა.** ამ დილემმას ომის შემდეგ ვერც ერთმა ევროპიულმა სახელმწიფომ ვერ დაალწია თავი. ამის დამამტკიცებელი საბუთი ბოლო დროს **საფრანგეთისა** და **ინგლისის** მეურნეობის შედარებაში შეგვიძლიან ვიპოვოთ. მაგრამ ეს დილემმა გამოუკლებლივ ყველა ევროპიულ კაპიტალისტურ ქვეყნებს შეეხება და როგორც წინად, ისე ახლაც ლენინის თეზისებს ამტკიცებს, რომ მსოფლიო კაპიტალიზმის მთლიანი და საყოველთაო დასენება და ხანგრძლივი წინსვლა აღარ არის შესაძლებელი, რომ პროგრესიული დაწლის ფონზე შესაძლებელია მხოლოდ ჩქარი ცვალებადობა აყვავებისა და კრიზისისა, რომ ერთი ქვეყნის ეკონომიურ აღორძინებას აუცილებლად მეორე ქვეყნის ეკონომიური დაქვეითება უნდა მოჰყვეს.

4. ამ ფაქტიურ მდგომარეობაში ვერაფერს სცვლიან **ეკონომიური განვითარების ახალი ფაქტორები,** რომელთაც საფუძვლად უდევთ ამერიკელების ცდა კაპიტალისტური მსოფლიო ბაზრის და საერთაშორისო კრედიტის აღდგენისა. ამერიკის შეერთებული შტატები, რომელიც წინათ ევროპის მოვალე იყო და ახლა უცილობელ ფინანსიური და ეკონომიური ჰეგემონად იქცა, რომიიც მსოფლიო ომიდან გამოვიდა როგორც უძლიერესი იმპერიალისტური სახელმწიფო, იძულებული გახდა უარი ეთქვა ევროპის მიმართ თავის ადრინდელ განმარტოების პოლიტიკაზე. ამას აიძულებდა მისი შინაგანი ბაზრის სივიწროვე, რომელიც ვეღარ აკმაყოფილებს უზომოთ განვითარებულ საწარმოო აპარატის განაღდების მოთხოვნილებას და აგრეთვე კაპიტალის ექსპორტის აუცილებლობას.

1924 წლის ლონდონის კონფერენციიდან, რომელმაც **დოუესის** გეგმა მიიღო, ამერიკამ დაიწყო ევროპის დაქვემდებარება თავის ეკონომიური და პოლიტიკური კონტროლისადმი. **დოუესის** გეგმის გარეგანი სახაბი იყო საფრანგეთის ავანტიურის დამარცხება რურის ოლქში. რურის ოკუპაცია წარმოადგენდა საფრანგეთის იმპერიალიზმის უკანასკნელ ცდას, რომ ევროპის კონტინენტზე თავისი ჰეგემონია დაემყარებია. ეს ცდა შეერთებული შტატებისა და ინგლისის წინააღმდეგობამ გააბათილა. დოუესის გეგმა ნიშნავს, რომ ამერიკელები იმპერიალიზმი იქითკენ მიისწრაფვის, რომ ევროპის კონტროლი იკისროს თავისი ზედმეტი საქონლის გასასაღებლად და თავისი კაპიტალების საექსპორტოთ.ხოლო პირველი პირობა ამერიკის კაპიტალის სიმეღი დასაბინავებლად.დანგრეული ევროპის მრეწველობა – მეურნეობაში, ევროპიული ქვეყნების ვალიუტის სტაბილიზაციაა. ამრიგად ამერიკის კაპიტალის ექსპორტის პირველი პირობა ოქროს ვალიუტის შემოღებაა ამ ქვეყნების დოუესიზაცია, შესაძლებლობა როგორც სხვა ევროპული ქვეყნების დოუესიზაციაა შესაძლებლად ხდის წესიერი სახალხო მეურნეობის აღდგენას მხოლოდ გაყვლეფილი მასსების ზედმეტი გაძარცვის შემწეობით.

დოუესის გეგმის განხორციელება გერმანიაში აშკარად გვიჩვენებს ყველა ამ პირობებს. სანამდე მიაღწევს გერმანელი პროლეტარიატის ექსპლოატაცია ამერიკული კაპიტალიზმის მიერ და მისი დამონება ყველა გამორჩეულები სახელმწიფოების მიერ, ეს გამოირკვევა დოუესის ხელშეკრულების პირობების დიალექტიკის გარჩევისაგან. ამის ტიპიური მაგალითს **მორგანის** სესხი წარმოადგენს, რომელიც გერმანიის მიეცა, რათა რეპარაციების ჭაბუკა ამუშავებულიყო.

5. დოუესის გეგმის განხორციელება გერმანიისათვის **ორ** მომენტზეა დამოკიდებული.

ა) მისცემს თუ არა ამ ქვეყანას წოიური პროდუქცია გადასახადებისა და ბაჟების სახით აუცილებელ ზედმეტს, რომელიც საჭიროა რეპარაციების გადასახდელად? ეს მომენტი გერმანიის სახელმწიფო ბიუჯეტის თვალსაზრისით დამოკიდებულია იმაზე, შეიძლება თუ არა შემოსავლის ნაწილის აწევა იქნას იქამდის, რომ გასაელის დაფარვის შემდეგ სარეპარაციო თანხის ოდენა რაოდენობა დარჩეს?

ბ) რა ფორმაში შეიძლება გატანილ იქნას ოქროს და ვალიუტის სახით უცხოეთში სარეპარაციო გადასახდები?

ორივე მომენტიდან შემდეგი გამომდინარეობს: სარეპარაციო თანხა შეიძლება უმთავრესად მხოლოდ იმ წმინდა მოგებისაგან წარმოსდგეს, რომელიც გერმანიამ თავისი საქონლის ექსპორტისგან უნდა მიიღოს. ამრიგად ცხადია, რომ დოუესის გეგმის განხორციელება აუცილებლად მოითხოვს, რომ გერმანიამ ზედმეტად გაადიეროს საქონლის ექსპორტი, მიტომ რომ მხოლოდ ამ გზით შეუძლია გადასახდილი ოქროს თანხა იშოვოს. წლიური სარეპარაციო თანხის მიხედვით გერმანიის სავაჭრო ბალანსის სალდო 2 მილიარდ ნახევარს უნდა უდრიდეს. მაგრამ ამ ჯამის შეგროვება გულისხმობს არა მარტო გერმანიის ექსპორტის უზარმაზარ ზრდას, არამედ ნედლი მასალის იმპორტის ზრდასაც. ამ იმპორტის ასანაზღაურებლად გერმანიის ექსპორტმა თავის მხრივ მიუწვდომელი სიმაღლეს უნდა მიაღწიოს, ასე რომ გერმანიამ, როგორც საქონლის ექსპორტიორმა, მსოფლიო ბაზარში უძლიერესი კონკურენცია უნდა აწიოვოს.

დოუესის გეგმის მოქმედებამ პირველ წელსვე ნათლად გამოააშკარავა ეს სიძნელენი. თუ გერმანიამ დღემდე შეასრულა თავისი ვალდებულებანი, ამას იმ გარემოებას უნდა უმადლოდეს, რომ მორგანის სესხმა მას მისცა საშიროთხნა უცხო ვალიუტის სახით, აგრეთვე იმასაც, რომ გადასახადის დიდ ნაწილს ნატურალური ფორმის გადასახადები (განსაკუთრებით ნაბშირის გადაცემა საფრანგეთისათვის) და გერმანელთა მიერ მიცემული თანხა (საოკუპაციო ჯარებისათვის) შეადგენს. მაგრამ ტრანსფერის განხორციელება (გადასახდელ თანხების გატანა უცხოეთში) წლიდან წლამდე, გერმანული მარკის და ნატურალური გადასახადების ნაწილის შემცირებისა და მოსპობის გამო, უფრო ძნელი გახდება. ამასთანავე თან და თან გამოაშკარავდება მსოფლიო კაპიტალიზმის შინაგანი წინააღმდეგობა, რომელიც დოუესის გეგმას უძევს საფუძვლად: ერთი მხრით გერმანიის მიერ რეპარაციების შესრულება ითხოვს საზღვარგარეთის ბაზრის არაჩვეულებრივ წალეკვას გერმანული საქონლით, მეორე მხრით ის ითხოვს სხვა კაპიტალისტური მოქიშპე ქვეყნების განაღდების შესაძლებლობის შემცირებას. ამრიგად აშკარავდება ამერიკის, ინგლისის და საფრანგეთის ინტერესთა სხვადასხვაობა დოუესის ხელშეკრულების განხორციელებაში. მხოლოდ საფრანგეთია დაინტერესებული სარეპარაციო გადასახადების უშუალოდ შენარჩუნებაში, რათა ამ გზით მოწეული რეგებულ იქნას მისი აწეწილი სახელმწიფო ბიუჯეტი. **ინგლისს** რეპარაციების შესრულებისა ეშინია, მიტომ, რომ ის გააძლიერებს გერმანიის კონკურენციას, სოლო **ამერიკის** ინტერესი უმთავრესად იქით არის მიმართული, რომ სარეპარაციო ვალდებულებებმა არ შეაფერხოს მის მიერ გერმანიაში წარმოებული დაბანდებული კაპიტალების მოგების ზრდა.

ამრიგად დოუესის გეგმამ სამი უძლიერესი იმპერიალისტური სახელმწიფოს ეკონომიური ინტერესების წინააღმდეგობა არა თუ შეამცირა, პირიქით, ხაოლად გამოაშკარავა. იმპერიალისტური ქვეყნების უსწორმასწორო განვითარების კანონი დღევანდელ ეპოქაში ამ პროცესის თანდათანობით გამწვავების იწვევს. სხვადასხვა ქვეყნების ეკონომიური პოზიცია მსოფლიო ბაზარზე ერთნაირი არ არის, ამიტომ თვითეულ სახელმწიფოს ან სახელმწიფოთა ჯგუფს, რომელსაც კონკურენტების წინააღმდეგ უპირატესობა აქვს, არ შეუძლია და არც სურს სხვებს ეკონომიურად გაუსწორდეს და ინტერესთა ერთობა დაამყაროს.

6. სახელმწიფოთა ჯგუფი, რომელმაც უმუალოდ მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ და უახლოეს მომდევნო წლებში თავი იჩინა ყოველ უძლიერესმა იმპერიალისტურმა ჯგუფმა, **ინგლისურ-საქსონური ჯგუფია.** ამერიკის **შეერთებულმა შტატებმა და ინგლისმა** ჰეგემონია მოიპოვეს კაპიტალისტურ მსოფლიოში, მაგრამ ამ ორი ქვეყნის ბრძოლა აბსოლიუტური ბატონობისათვ

ეკონომიური ცხოვრება

რძის ქარხნის გახსნა ფილკანში

მუხრანის სასოფლო-სამეურნეო ამხანაგობის ძალებით დუშეთის მაზრის სოფელ წილკანში ამ სოფლის შეფის,—ამიერ-კავკასიის საგანგებო კომისიის დახმარებით იხსნება რძის ქარხანა.

წარმოკავშირმა ქარხანის მიაწოდა ყველა ინვენტარი და მოაწყო ლაბორატორია, სადაც მოხდება რძის ნაწარმოებთა ღირსების გამოკვლევა.

ქარხნის საზეიმო გახსნა განზრახულია მიმდინარე წლის 7 თებერვალს; გახსნაზე მიწვეული არიან როგორც ადგილობრივ ორგანიზაციების, ისე ცენტრის წარმომადგენლები.

ჩვენი სამთომადნო მრეწველობა

სამთო-ქიმიურმა კომპინატმა შეადგინა სამთო ქიმიური მრეწველობის განვითარებს ხუთწლიანი პერსპექტიული გეგმა, რომელშიაც გათვალისწინებულია სამთო ქიმიური მრეწველობის ასალორძინებელი ღონისძიებები 1925—1930 წლის განმავლობაში.

ბაქურის წარმოება.

ბარიტის წარმოების გასაფართოებლად საჭიროა საჭარო მაეთუ-ლის გზის გაყვანა 6 კილომეტრის მანძილზე, რაც 150.000 მანეთი დაჯდება. გზა გამბული იქნება მომავალ 1926—27 სამეურნეო წლის განმავლობაში. იმავე წელში მოწყობილი იქნება ბარიტის საფქვავი წისქვილი. განზრახულია აგრეთვე აგებული იქნეს ქარხანა, რომელიც ბარიტს ჭოორის ნახშირმჟავედ და თეთრ სპილენძად გადაამუშავებს.

წინასწარი გამოანგარიშებით, ამ ქარხნის აგება და მოწყობა დაჯდება 20.000 მანეთზე მეტი. ქარხანა წლიურად დაამზადებს ათასი მანეთის პროდუქციას.

თიხის წარმოება 1925—26 წელთან შედარებით 1929—30 წლისათვის აყვანილი იქნება 150.000 ფუთამდე.

გარიტის წარმოება.

ბარიტის წარმოების გასაფართოებლად საჭიროა საჭარო მაეთურის გზის გაყვანა 6 კილომეტრის მანძილზე, რაც 150.000 მანეთი დაჯდება. გზა გამბული იქნება მომავალ 1926—27 სამეურნეო წლის განმავლობაში. იმავე წელში მოწყობილი იქნება ბარიტის საფქვავი წისქვილი. განზრახულია აგრეთვე აგებული იქნეს ქარხანა, რომელიც ბარიტს ჭოორის ნახშირმჟავედ და თეთრ სპილენძად გადაამუშავებს.

წინასწარი გამოანგარიშებით, ამ ქარხნის აგება და მოწყობა დაჯდება 20.000 მანეთზე მეტი. ქარხანა წლიურად დაამზადებს ათასი მანეთის პროდუქციას.

თამგაძის გატანა საზღვარგარეთ

ამიერ კავკასიის საგარეო ვაჭრობის კომისარიატმა ხელშეკრულება დასდო აფხაზეთის სახელმწიფო ორგანიზაციებთან, რომლის ძალით ამ ორგანიზაციებმა კომისარიატს უნდა დაუმზადონ 100 ათასი ფუთი საუკეთესო ხარისხის თამბაქო.

საგარეო ვაჭრობის კომისარიატი ამ თამბაქოს გასასაღებლად გაიტანს გერმანიაში, პოლონეთში და ალექსანდრიაში (ეგვიპტე). თამბაქოს გატანა განზ ახულია ავრეთვე ჩეხოსლოვაკიის სახელმწიფოებში.—ნორვეგიასა და შვეიცარიაში.

კომისარიატის ცნობით საზღვარგარეთ დიდი მოთხოვნილ ებია თამბაქოზე და განსაკუთრებით აფხაზეთის თამბაქოზე, ასე რომ თამბაქოს გასაღების საქმე უკვე უზრუნველყოფილად ჩაითვლება.

მეთამბაქოეობის გასაუმჯობესებლად და თამბაქოს ხარისხით ასაწევად საგარეო ვაჭრობის კომისარიატმა ინგლისიდან გამოიწერა საუკეთესო ხარისხის თამბაქოს თესლი, რომელთაგან ნაწილი უკვე მიღებულია და ნაწილიც ახლო ხანში იქნება მიღებული.

საქონლის შემოტანა ა.-კავკასიაში

გასული წლის განმავლობაში ამიერ-კავკასიაში შემოტანილი იყო 9.236.007 მანეთის საქონელი; აქედან სასოფლო-სამეურნეო ჯგუფის საქონელზე მოდის 1.638.694 მანეთი, ე. ი. 17,8 პროცენტი.

შემოტანილ საქონელში მთავარი ადგილი უჭირავს მავნებლების წინააღმდეგ ბრძოლის საშუალებებს; გასული წლის განმავლობაში შემოტანილი იყო: შაბიამანი—70.000 ფუთი —320.000 მანეთად ღირებული და სოდა „ბუდა"—100.000 ფუთი—52 ათასი მანეთის. ამ შაბიამანმა და სოდამ სავსებით დააკმაყოფილა ამიერ-კავკასიის ვეზახების და ბამბის ნათესების საჭიროებები.

მეორე ადგილზე შემოტანილ საქონელში უჭირავს ამიერ-კავკასიის მეურნეობაში გუთნებს. ზემოაღნიშნული დროის განმავლობაში ამიერ-კავკასიაში შემოტანილი იყო 1.300 ცალი ინგლისურ-ბულგარული გუთნები „უეკერის" და „საკის" სისტემისა, გარდა ამისა შემოტანილი იყო კიდევ კულტივატორები და 250 ფოცხი.

სულ ნაადგილ გადასამუშავებლად შემოტანილ იარაღების (ტრაქტორები და გუთნები) საერთო ღირებულება უდრიდა 400.000 მანეთს. ამას გარდა, შემოტანილი იყო კიდევ 300.000 მანეთის სხვადასხვა ჭვრილი იარაღები.

სრულიად იყო დაკმაყოფილებული რძის მეურნეობის საჭიროებანი; მეურნეობის განვითარებისათვის გამოწერილი იყო 600 სეპარატორი და სხვა საჭირო აპარატები.

მეტად დიდი როლი ითამაშა ეენახების დაცვის საქმეში სიტყვის საწინააღმდეგო ზუმწუნების გამოწერამ (30.000 ცალი); ამას გარდა, გამოწერილი იყო კიდევ 1.300.000 მეტი ამერიკული ვაზი, გოგირდის მოსაყრელი მანქანები 2.000 ცალი და სხვა.

სასოფლო-სამეურნეო მანქანების და იარაღების შემოტანას აწარმოებდა ამიერ-კავკასიის სახელმწიფო ვაჭრობის სამმართველო როგორც საკუთარი ინიციატივით, ისე ამიერ-კავკასიის სახელმწიფო და კოოპერატიულ დაწესებულებების შეკვეთის თანახმად.

იარაღ-მანქანების 70 პროც. შემოტანილი იყო ა.-კ. სახელმწიფო ვაჭრობის სამმართველოს ინიციატივით და 30 პროც. ორგანიზაციების შეკვეთის თანახმად.

მოხდეს მხოლოდ ევროპიული ქვეყნების პოლიტიკური და სახელმწიფოებრივი ურთიერთობის მოწესრიგების წყალობით. ამერიკული კაპიტალის გაფართოების მოთხოვნილება აუცილებლად ევროპიული ქვეყნების დამშვიდების მოითხოვს. ამერიკას ინგლისი გამოდის, როგორც ტონის მიმცემი და უძლიერესი იმპერიალისტური ძალა ევროპაში. ამ რიგათ ვერსალის ხელშეკრულების გადასინჯვა ხდება. საგარანტიო ხელშეკრულება წარმოადგენს საფრანგეთისა და ფრანგული იმპერიალიზმის სრულ დამარცხებას, მის მიერ უარის თქმას ევროპული კონტინენტის ჰეგემონიაზე. ინგლისი გამოდის როგორც მედიატორი საფრანგეთსა და გერმანიას შორის, ინგლისი ამიერიათან გერმანიას ხმარობს, როგორც იარაღს საფრანგეთის აგრესიული მისწრაფების წინააღმდეგ. ამერიკა საფრანგეთის დოუესიზაციას აშზადებს. გერმანია განწირულია ორმაგი მონური როლის შესასრულებლად. ერთი მხრით ის ხალხთა ლიგაში უნდა შევიდეს, რათა დასაყრდენ ბაზათ გადაიქცეს იმპერიალიზმისთვის საბჭოს კავშირის წინააღმდეგ, მეორე მხრივ მას ანგლო-საქსონური იმპერიალიზმის ნებას უმორჩილებენ ხან პატარ-პატარა ეკონომიური და პოლიტიკური დათმობებით, ხან კიდევ სარეპარაციო ჭარხლის მოქნერით.

მაგრამ საგარანტიო ხელშეკრულების უმთავრესი მნიშვნელობა იმაში მდგომარეობს, რომ ის წარმოადგენს ცდას, მიფუჩეჩებულ იქნას კაპიტალისტური მსოფლიოს შინაგანი წინააღმდეგობანი, რათა საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ მთლიანი იმპერიალისტური ბლოკი შეიქმნას. დიდი ბრიტანეთი, რომელიც გამარჯვებული და ექსპანსიური ამერიკული კაპიტალიზმისა და აგანყენული კოლონიების მუხრუჭს შუა მოხვდა და რომლის წინსვლა ყველ ფრონტზე შეფერხებულია საბჭოთა რუსეთის არსებობით, გამოდის როგორც კაპიტალიზმისა და სოციალიზმის სომარ შეჯახების მთავარი წამქეზებელი და ხელმძღვანელი „საღეთო კავშირი" შეადგინოს საბჭოთა რესპუბლიკების კავშირის წინააღმდეგ. **ამერიკის შეერთებული შტატების** პოზიცია, პირიქით, იმაზე დამოკიდებული, რომ მის მოგების ჩაჯიბვის გულისთვის ურჩევნია, რომ ევროპა შეიძლებისები გზით განვითარდეს, მაგრამ ამასთანავე იმედი აქვს, რომ საბჭოთა რუსეთისა და ჩინეთის დოუესიზაციაც მოხდება და ინგლის-საბჭოთა რუსეთის გამწვავებული ანტაგონიზმისაგანაც სარგებლობას მიიღებს.

10. ერთის თავის უკანასკნელ წერილში **ლენინმა** შემდეგნაირად დახასიათა ახლანდელი პერიოდი:

„საერთაშორისო ურთიერთობის სისტემა შემდეგნაირად გადაიხალიათა: ევროპაში არის სახელმწიფო, სახელდობრ გერმანია, რომელიც დამორჩილებულია გამარჯვებული სახელმწიფოების მიერ. შემდეგ მოდის რამდენიმე სახელმწიფო, დასავლეთის უძველესი სახელმწიფოები, რომელნიც გამარჯვების გამო იძულებულნი არიან თავიანთ ჩაგრულ კლასებს მცირედი რამ დაუთმონ; მაგრამ ეს დათმობა ანელებს რევოლიუციონურ მოძრაობას და რაღაც „სოციალური ზავის" მსგავსს მოველენას იწვევს— იმავე დროს რამდენიმე ქვეყანა აღმოსავლეთში, ჩინეთი, ინდოეთი და სხ. უკანასკნელი იმპერიალისტური ომის წყალობით კალაპოტს გადასცდა. მათი განვითარება ბოლო დროს საზოგადო ევროპიული მასშტაბით ხდება. და ეხლა ყველასათვის ნათელია, რომ ეს ქვეყნები იმ განვითარების პერიოდში შეიდნენ, რომელიც აუცილებლად მსოფლიო კაპიტალიზმის კრიზისს გამოიწვევს".

ეს ტენდენციები, რომელნიც მსოფლიო კაპიტალიზმის დაშლის ხანას ახასიათებენ, ლენინმა უკვე გამოარკვია, სანამ შედარებითი სტაბილიზაციის ახლანდელს საფეხურს მივაღწევდით. მაგრამ ამ საფეხურს ერთი მხრით განსაკუთრებით ის გარემოება ახასიათებს, რომ მსოფლიო კაპიტალიზმის სტაბილიზაციას თან სდევს სოციალიზმის სტაბილიზაციაც, უზარმაზარი პოლიტიკური და ეკონომიური ძალა შეშატება პირველ პროლეტარული სახელმწიფოსი. საბჭოთა კავშირი წარმოადგენს მსოფლიო რევოლიუციის ყველა სტრატეგიული ძალების ფოკუსს და აგრეთვე რევოლიუციური ძალების ორგანიზაციას ახლეს მსოფლიო მასშტაბში. ახალი გარდატეხა, რომელსაც ახლანდელი განვითარებას ფაზისი უახლოვდება პროლეტარული ძალების გადაჯგუფებასა და რეორგანიზაციას გულისხმობს.

(შემდეგი იქნება)

კომინტერნის საბჭოთა-საპროპაგანდო განყოფილება

ელექტროფიკაცია

ბორჯომის ჰიდრო-ელექტრო სადგურის გაფართოება

საქართველოს სააღმწიფო საგეგმო კომისიამ აუცილებლად სცნო გაფართოვებული იქნეს ბორჯომის ჰიდრო-ელექტრო სადგური იმდენათ, რომ მან შესძლოს ბორჯომის მრეწველობის და კურორტის მოთხოვნილებების დაკმაყოფილება. ამ მიზნით, საგეგმო კომისიის მიერ გამოყოფილი იქნა სპეციალისტებისაგან შემდგარი კომისია, რომელმაც ადგილობრივ გამოიკვლია სადგურის გადაკეთების საკითხი და საგეგმო კომისიის სამრეწველო სექციას წარუდგინა ორი ვარიანტი.

პირველი ვარიანტის მიხედვით, კაპიტალურათ შეკეთებული უნდა იქნეს წყალსადენი და უნდა გადაკეთდეს მისი მთავარი ნაწილი, რომელიც დანგრეული იქნა 1922 წელში. წინასწარი გამოანგარიშებით, პირველი ვარიანტით გათვალისწინებულ სამუშაოებს შესრულება დაჯდება დაახლოებით 150.000 მან.

მეორე ვარიანტი გულისხმობს ახალი წყალსადენის მოწყობას 5 რვერსის მანძილზე; ეს წყალსადენი უნდა დაუკავშირდეს მდ. ბორჯომს სოფ. ტბას ქვეით. ამ მუშაობის შესრულება დაჯდება 200.000 მანეთი.

იმის გამო, რომ ერთ-ერთი ვარიანტის საბოლოოთ ასარჩევათ საჭიროა ინსტრუმენტალური გამოკვლევის წარმოება ადგილობრივ და ორივე ვარიანტისათვის პროექტის და ხარჯთ-აღრიცხვის შედგენა,—საქართველოს საგეგმო კომისიის სამრეწველო სექციამ ოუცილებლად სცნო დაევალოს მთავარ საკურორტო სამმართველოს მოახდინოს საჭირო გამოკვლევა და შეადგინოს პროექტი და ხარჯთ აღრიცხვა იმ ანგარიშით, რომ მუშაობა დამთავრებული იქნეს ვირეულ მაისამდე.

ვინაიდან ბორჯომის ჰიდრო-ელექტრო სადგურს დიდი მნიშვნელობა აქვს ბორჯომის კურორტის და სამრეწველო წარმოებების გასანათებლათ, საგეგმო კომისიის სამრეწველო სექციამ დაადგინა სადგურის გაფართოებამდე დადგმული იქნეს ბორჯომის ჰიდრო-სადგურში 300 ცხ. ძალიანი ლოკომობილი.

ბორჯომის ჰიდრო-ელექტრო სადგურის გაფართოება შოხდება აგრეგატის დადგმის გზით; 500 ცხ. ძალიანი აგრეგატ-ს შეძენა საზღვარგარეთ დაკისრებული აქვს საქართველოს სატყეო მრეწველობას.

ძაღლების ძარხნის მოსაწყობათ

როგორც ჩვენი გაზეთის მკითხველებმა იციან, გასული 1925 წლის ზაფხულზე საქართველოში ჩამოვიდა საკ. ქალაქების მრეწველობის ბიუროს წარმომადგენელთა კომისია, რომელსაც მიზნად ჰქონდა საქართველოს პირობების შესწავლა ქალაქების მრეწველობის განვითარების თვალსაზრისით. კომისიის მიერ დამუშავებული პროექტით საქართველოს პირობები საუკეთესო შესაძლებლობას იძლევა ქალაქებს და სხვა ნახევარ ფაბრიკატების წარმოების მოსაწყობად.

ამ ერთი კვირის წინად მოსკოვიდან ჩამოვიდა იმავე ბიუროს ორი წარმომადგენელი ინჟ. ტექნერი და ნიკოლაევი რომელთაც დაკისრებული აქთ ჩვენში ქალაქების ფაბრიკის მოწყობის შესახებ აღძრული საკითხების საბოლოო დამუშავება და გადაწყვეტა.

საკითხების დამუშავებაში მონაწილეობის მისაღებად სახალხო მეურნეობის უწყებებსა საბჭომ მოიწვია საქართველოს ტყეების კარგათ ცნობილი ინჟინერ-ტექნიკური მუშაკები.

ადგილობრივ ორგანიზაციებში

სკოლას აკლდებიან

(სურამის პოლიტ სკოლა)

სურამში პარტამხანაგთა შორის ძალიან ბევრნი არიან ისეთები, რომელთაც პოლიტიკის ბევრი არაფერი გეგებათ-რა. ამ მდგომარეობის გამოსასწორებლათ სურამში ეხლახან დაიხსნა პოლიტ სკოლა, სადაც არიცხება 30 ამხანაგი. მეცადინეობა სწარმოება კვირაში სამჯერ.

უნდა ვთქვა, რომ მეცადინეობაზე ხშირად ესწრებიან კერძო პირები, ისინი კი, ვინც პირველ ვალდებულია არ გამოტოვოს მეცადინეობა და ყოველთვის იაროს, როგორც მოესურვება, ისე მექცევა; ან სულ არ დაიარებაან, ან არა და უეცველად უნდა დაიარგვიანოს.

ხელმძღვანელმა ეს ნაკლი უეშველად უნდა გამოასწოროს.

ხელმძღვანელი ენერგიული პიროვნებაა და ამასთანავე კარგი მკოდნეც. ვიმედოვნებთ, რომ საქმე ჩადგება წესიერ კალაპოტში და ახლო ხანში გვეყოლება პოლიტიკურად მომზადებული პარტ. ამხანაგთა კადრი, რომელიც ისე საჭიროა სურამისათვის.

ი. გაგოშიძე.

პარტიული ცხოვრება

პოლიტცოდნის სკოლების შესახებ

პოლიტცოდნის მოძრავი სკოლები ახალი საქმეა ჩვენს გლეხურ მაზრებში.

ცხადია ამ სკოლებს, როგორც ახალ ცდას, პარტიის რიგებში პოლიტუცოდინარობის სალიკვიდაციოდ აქვს ზოგიერთი დეფექტები, რომელიც გამოწვეულია სათანადო ხელმძღვანელების უყოლობით, ლიტერატურის უქონლობით და ხვა.

პოლიტცოდნის სკოლების გაჯანსაღებისათვის ენერგიული მუშაობით ეს ნაკლი თანდათან აღმოიფხვრება. ერთი რამ კი დღესვე აშკარაა, სახელდობრ ის, რომ ამ სკოლებმა სისტემა და გეგმაზომა შეიტანეს ორგანიზაციის შიგნით აღმზრდელობითი მუშაობაში. გეგმიანი მუშაობა კი დღემდე სამაზრო ორგანიზაციებში პარტალზრდის დარგში ნაკლებათ სწარმოებდა.

გაზიხულის პერიოდის მოახლოების შემდეგ შეუძლებელი გახდება პოლიტსკოლების ნორმალური მეცადინეობა. ამისათვის, თებერვლის დამლევისათვის, უნდა მოხდეს გამოშვებები ხსენებული სკოლების. ამასთან დაკავშირებულია ერთი საკითხი, რომელსაც დიდი მნიშვნელობა აქვს; როგორი უნდა იყოს პოლიტიკური უცოდინარობის საღიკვიდაციო მუშაობა იმ უჯრედების, რომელნიც გაიელიან პოლიტცოდნის სკოლას? ცხადია, სკოლის დამთავრების შემდეგ თუ არ გავაგრძელეთ მუშაობა უჯრედებში, მოძრავ სკოლაში მიღებული ცოდნის გასაგრძელებლად და განსამტკიცებლად მოძრავ სკოლებში დახარჯული დრო, ენერგია და ფული უქმად ჩაივლის, მსმენელები დაივიწყებენ სკოლაში მოსმენილ საბრების შინაარსს, და პარტიდრის დარგში მიზანს ვერ მივაღწევთ. თუ ჩვენი პოლიტმოძღვნებითი მუშაობა, მოძრავ სკოლებისა რაღაც ორთეანი საუბრებით ამოიწურეთ და აძ მიმართულებით მუშაობა არ გავ ჩაღეთ, მოძრავი სკოლები სეზონურ ღონისძიებად დარჩებიან; სეზონური, ეპიზოდიური საუბრებით კი, ზედმეტია ლაპარაკი, პოლიტუცოდინარობის ლიკვიდაციაზე.

ჩვენის აზრით, მოძრავ სკოლების ხელმძღვანელთა მიერ წინასწარვე უნდა იქნეს ზომები მიღებული, რომ სკოლის გამოშვების შემდეგ, იმ უჯრედებთან, რომლის წევრებსაც ეერთიანებდა მოძრავი სკოლა, დაარსებული იქნეს **თვითგანვითარების წრეები,** იმ წესით, როგორც ამაზე მიგვითითებს საკ.-საპრ. განყ. გამგეების თათბირის დადგენილება. თვით გვითარების წრეებს კვირაში ერთხელ ექნებათ მეცადინეობა. ისინი თავიდან დაუბრუნდებიან მოძრავ სკოლის პროგრამას და კვირაში ერთხელ მეცადინეობით განამტკიცებენ იმ ცოდნას, რომელიც მათ მოძრავ სკოლაში მიიღეს.

რაც შეეხება თვითგანვითარების წრის ხელმძღვანელობას, იგი შეიძლება დაევალოს იქ ახლანგს, რომელიც მეტ აქტივობას და უნარიანობას იჩენდა მოძრავ სკოლის მეცადინეობაში. ამ წრეების მუშაობა სისტემატიურად უნდა გაგრძელდეს მეორე სააფეზურის მოძრავ სკოლის დაარსებამდე.

ეგვს გარეშეა, რომ ამ წრეებს დიდ დახმარებას გაუწევს სპეციალური სახელმძღვანელო „პოლიტცოდნაი". წიგნი ქართულ ენაზე, პოლიტსაუბრების პოპულარული მასალებისა, უნდა ჰქონდეს თითეულ მსმენელს. ამით მიეჩვევიან ამხანაგები დამოუკიდებლად მეცადინეობას სახლში, რასაც დიდი მნიშვნელობა აქვს.

აკ. ჭოპუა.

ახალგაზრდა კოოპერატორი ქვარდა

კომკავშირი ქუთაისის მაზრაში

ქუთაისი, 3 თებერვალი. საქართველოს ლენინური კომკავშირის ქუთაისის მაზრის ორგანიზაციაში ითვლება 3.044 წევრი და 482 კანდიდატი.

უჯრედებში მოხდა რეორგანიზაცია; საწარმოო უჯრედებიდან გამოყოფილ იქნენ წევრები, რომელნიც არ მუშაობენ წარმოებებში, ხოლო გლეხურ უჯრედებში ხელმძღვანელობა გადაეცა გლეხურ ახალგაზრდობას. უჯრედების მდივნებათ თითქმის ყველგან პარტიის კანდიდატები ინიშნებიან.

მაზრაში პოლიტსკოლების და წრეების ხელმძღვანელთაგან მოეწყო 12 სემინარი. ქუთაისში მუშაობს 24 პარტიული კატეგორიის პოლიტგანათლების სკოლა 744 მოწაფით, მეორე კატეგორიის პოლიტგანათლების სკოლა 521 მოწაფით. მაზრაში არის 40 სათვო პოლიტსკოლა 444 მსმენელით.

მაზრაში არის აგრეთვე 24 პროფკოლექტივი 392 წევრით, აქედან 17 სასოფლო და 7 სარაიონო.

არის 2 კლუბი: ქუთაისში და ხონში. მუშათა კლუბებთან არსებობს კომკავშირის 5 სექცია. გაზ. „ახალგაზრდა კომუნისტი" ვრცელდება ათასი ეგზემპლიარი. პიონერთა ორგანიზაციაში ითვლება 6,000 წევრი.

ადგილობრივ ორგანიზაციებში

ბრალი ჩვენია

(ხ. ზომლეთი, გურია)

სოფ. ზომლეთის თემის ა. ლ. კ. კ. უჯრედი 1921 წლიდან არსებობს. წინათ ჩაოდენ, უჯრედში არ იყვნენ მომზადებული ამხანაგები, და ამიტომ მუშაობაც მოისუსტებდა; წევრებიც მცირე იყო უჯრედში. 1923 წლიდან 70 წევრი ითვლება. მომზადებული ამხანაგებიც მეტია უჯრედში, რისთვისაც მუშაობა გაჯანსაღდა. სისტემატურათ სწარმოებს პოლიტმეცადინეობა. უპარტიო ახალგაზრდებში ბევრნი თანდათან იზრდება.

მეორე რაიონის პიონერთა ორგანიზაცია 1926 წლ. 1 იანვრისათვის

რაიონში ითვლება 2.035 ბავშვი, აქედან ვაჟი —1.131. (56,5 პროც.), ქალი— 904, (143,5 პროც.).

ჰასაკის მიხედვით: 7-დან 9 წლამდე—400; 10 დან 11 წლამდე—410; 12 დან 13 წლამდე—655; 14-დან 15 წლ.—460; 16 დან და ზევით—110.

ეროვნების მიხედვით: ქართველი—558 (28 პრ.), სომეხი—754 (37,9 პროც.), რუსი—415 (22 პროც.), დ.ნარჩენები—278 (12,1 პროც.).

ორგანიზაციაში ითვლებიან მუშების შვილები 1.132 (56,5 პროც.), მოსამსახურეების—709 (35 პროც.), გლეხების—104 (15 პროც.), დანარჩენების—90 (3,5 პროც.

ხელმძღვანელ კოლექტივების სპეციალური კადრის შესაძენლად კომკავშირის რაიკომთან მოწყობილია სპეციალური სემინარია, სადაც სწავლობენ რაიონის უჯრედთა მბეჭდის წევრები. კურსის დამთავრების შემდეგ ისინი შედიან პიონერ-კოლექტივებში.

ა. კონდაკჩიანი.

სასოფლო მეურნეობა

გამგის მეურნეობა

გამგის ნათესების სივრცე 1925—26 წელში.

სამხმო კომიტეტის ცნობებით, მომდინარე საოპერაციო წლის განმავლობაში ამიერ-კავკასიაში დათესილი იქნება 130.450 დესეტინა ბამბა. ცალკე რესპუბლიკებს შორის ნათესების ეს სივრცე განაწილებულია შემდეგნაირად:

აზერბეიჯანში დათესილი იქნება 96.750 დესეტინა, სომხეთში—16.700 დეს. და საქართველოში—12.500 დესეტინა; აქედან 10.500 დესეტინა დათესილი იქნება გეგმის მიხედვით და 1.700 დეს. დამატებით ბორჩალოს მაზრაში, თუ თესვის კამპანიის დაწყების დროისთვის შეკეთებული იქნა სათანადო სარწყავი არხები. აფხაზეთში დათესილი იქნება 2.800 დესეტინა.

ამიერ-კავკასიის საბამბო კომიტეტს გადაწყვეტილი აქვს მომდინარე წელში შეუდგეს საირიგაციო მუშაობას, რომელიც გათვალისწინებულია პერსპექტიულ გეგმაში.

ბამბის დამზადება

უკანასკნელ დრომდე ამიერ-კავკასიის რესპუბლიკებში ბამბა დამზადებულია შემდეგი რაოდენობით:

აზერბეიჯანის ქარხნებმა შეისყიდა 3.386.942 ფუთი ნედლი ბამბა, დავალება შესრულებულია 87,2 პროცენტით. ამ რაოდენობიდან გაწმენდილია 40.171 ფუთი. მოსკოვში გაიგზავნა 1.378 ვაგონი ბამბის ძაფი. გაგზავნილი უნდა ყოფილიყო 1.866 ვაგონი.

გლეხებისათვის მიცემული ავანსებიდან დაბრუნებულია 4.515.710 მანეთი, რაც გაცემული თანხის 82,9 პროცენტს შეადგენს.

სომხეთში შესყიდულია 790.780 ფუთი ნედლი ბამბა, რაც წლიური დავალების 104,5 პროც. შეადგენს; გაწმენდილია 7.685 ფუთი. ცენტრში გაიგზავნა 245 ვაგონი, გაგზავნილი უნდა ყოფილიყო 231. წაღებული ავანსებიდან დაბრუნებულია 1 მილ. და 73.000 მანეთი, ე. ი. 91,9 %.

საქართველოში შესყიდულია— 147.730 ფუთი ნედლი ბამბა—70,4 პროც. ცენტრში ბამბა არ არის გაგზავნილი, რადგან ქარხნები არ მუშაობდა და ბამბა არ გაწმენდილა. ავანსებიდან დაბრუნებულია 305.053 მ., ე. ი. 79,5 პროც.

აფხაზეთში შესყიდულია მხოლოდ 3.357 ფუთი ნედლი ბამბა, რაც წლიური დავალების 10,1 პროც. შეადგენს. ბამბის გაწმენდას, ცენტრში გაგზავნას და ავანსების დაბრუნებას ადგილი არ ჰქონია.

ჯერ-ჯერობით ბამბის დამზადება ყველაზე უფრო წარმატებით მიდის სომხეთში.

სოფლის მეურნეობის მექანიზაცია

ტრაქტორები ჩვენს სოფლებში

უკანასკნელი ცნობების მიხედვით, საქართველოს სოფლებში ამ ჟამად მუშაობს 41 ტრაქტორი.

ტრაქტორების რაოდენობის მიხედვით პირველი ადგილი უჭირავს თბილისის მაზრას, სადაც ამ ჟამად სხვადასხვა სოფლებში 14 ტრაქტორი მუშაობს; აქედან ასურეთის საკედლეტო ამხანაგობას შეძენილი ჰქონია „ფორძონის" სისტემის ერთი ტრაქტორი, ამხ—ბა „მდელოს,—ერთი ფორძონი, თბილისის აღმასკომის აგრონომიულ განყოფილებას — ერთი ფორძონი, საკედლეტო ამხანაგობას—ერთი, მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს—ერთი და ერთი ტრაქტორი „ხოლტის" სისტემისა, სახალხო მეამულების ტრესტს ორი ტრაქტორი „ფაულერ-კომბაუდა"-ს სისტემისა და ერთი ტრაქტორი „ხარტის" სისტემისა. ცეკავშირს აქვს სამი „ფორძონი" და ორი ტრაქტორი „ფიატის" სისტემისა.

თბილისის მაზრის შემდეგ პირველი ადგილი უჭირავს სიღნაღის მაზრას, სადაც ამ ჟამად რვა ტრაქტორი მუშაობს.

ამ რვა ტრაქტორიდან ოთხი „ფორძონის" სისტემის ტრაქტორი ეკუთვნის საქართველოს წყალთა მეურნეობის სამმართველოს; კომკავშირელთა ამხანაგობა „ნაღი"-ს აქვს ერთი ფორძონი, ამხანაგობა „კავშირთ-კავშირს"—ერთი ფორძონი, ამხანაგობა „სახალხო"-ს ერთი ფორძონი და „ნავიგელს"—ერთი „ფორძონი".

ახალქალაქის სამაზრო აღმასკომს აქვს ერთი „ფორძონი", გორის მაზრის სოფელ მეტეხს—2 „ფორძონი" სამთავისის კომუნას—ერთი „ფორძონი" და კოოპერატივ „იმედს"—ერთი „ფორძონი".

დუშეთის სამაზრო აღმასკომს შეძენილი აქვს ორი ტრაქტორი,—ერთი „ფორძონის" და მეორე „ე-დ" სისტემისა, თელავის საკრედიტო ამხანაგობას აქვს 2 „ფორძონი", სალხინო მამულების ტრესტს ამ მაზრაში გაგზავნილი აქვს „ფაულერ-კომბაუდა"-ს სისტემის ერთი ტრაქტორი.

ოზურგეთის გლეხკომს აქვს ერთი ტრაქტორი, ამავე მაზრის აღმასკომს აქვს 4 ტრაქტორი—2 „ფორძონის" სისტემის და 2 „გულენის". ახალსენაკის საკრედიტო ამხანაგობას აქვს ერთი ტრაქტორი.

როგორც მოყვანილი ცნობებიდან სჩანს, საქართველოს სოფლებში ყველაზე უფრო გავრცელებულია ფორძონის სისტემის ტრაქტორები.

მესაქონლეობის გამოკვლევა

ამ ჟამად საქართველოში მიმდინარეობს მესაქონლეობის გამოკვლევა, რომელიც სწარმოებს მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის თაოსნობით. გამოკვლევას ხელმძღვანელობს პროფ. ჯანდიერი და სახელმწიფო ფინანსირისტეტის აგრონომიული დარგის სამეცნიერო ძალები.

გამოკვლევის მიზნით არის საქართველოში გავრცელებული საქონლის ჯიშების შესწავლა. გამოკვლევის ობიექტებში, როგორც მსხვილ რქოსანი, ისე წვრილფეხა საქონელი.

წინასწარ დამუშავებულ გეგმის თანახმად გამოკვლევა უნდა გაგრძელდეს სამი წლის განმავლობაში. მაგრამ გამოკვლევა ისე წარმატებით მიდის, რომ პროგრამის ერთი მეორედი უკვე შესრულებულია.

საქართველოს მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატში უკვე მიღებულია დიდი ძალი მასალა, რომელიც იძლევა ცნობებს 10 ათასი სხვა და სხვა ჯიშის საქონლის გამოკვლევის შესახებ.

მიღებული მასალების წინასწარი ანალიზი და შესწავლა განზრახულია დამთავრებულ იქნეს მიმდინარე წ. ოქტომბრამდე; საამისოდ შექნილი უნდა იქნეს სათანადო ხელსაწყო ინარიები.

როგორც გამოკვლევით მიღებული მასალებიდან სჩანს, თავისი ღირსებით ყველაზე მაღლა სდგას თუშური ცხვრის ჯიში.

პროფ. ჯანდიერს განზრახვა აქვს მოახდინოს შეუღლება თუშური ცხვრისა ამერიკული ჯიშის მერინოსებთან, რომელნიც უკვე ჩამოყვანილია ამერიკიდან.

პროფ. ჯანდიერის მიერ აღძრულია შუამდგომლობა ფულის გაღების შესახებ 42 საუკეთესო თუშური ცხვრისა და ვერძის შესაძენად.

ადგილებზე გამოსაკვლევად გამგზავრებულ ექსპედიციებს მეტად მძიმე პირობებში უხდებათ მუშაობა, რადგან უზრუნველყოფილ არ არიან გადასახადი საშუალებით. მოუხედავათ ამისა მათი ენერგიული მუშაობით გამოკვლევა წარმატებით მიმდინარეობს.

სასოფლო-სამეურნეო გადასახადის ნაკლულევანებანი

(სახ. მუშათა და გლეხთა ინსპექციის მასალებიდან)

საქართველოს მუშათა და გლეხთა ინსპექციის მიერ მოხდენილმა მიმდინარე წლის სასოფლო-სამეურნეო გადასახადის კამპანიის გამოკვლევამ აღმოაჩინა შემდეგი:

1. დებულების ძალით, მთელი სიმძიმე სასოფლო-სამეურნეო კამპანიის ჩატარებისა გადატანილია ძირითადი ბეგდ. ორგანოებზე—„ვოლისპოლკომ"ებზე და მასთან არსებულ საგადასახადო კომისიებზე, რომელთანაც ჩვენს სინამდვილეში სრულიად შეცდომით გათანაბრებულია თემის აღმასკომები და საერთო საგადასახადო კომისიები. ეს უკანასკნელნი როგორც თავის სტრუქტურით, ისე ვიდე შესხეული თანამშრომლით უეროლობის გამო, აღმოჩნდნენ სრულიად უძლურნი ჩაეტარებინათ ეს კამპანია და ფაქტიურად მთელი მუშაობა გადაეცა სამაზრო აპარატზე.

2. ამრიგად, რამდენადაც ძირითადი აპარატი მოწყვეტილი გამოდგა სასოფლო-სამეურნეო გადასახადის საქმიდან, იმდენად შეხსტდა გაჭირვება ჩვენ ვიცით, რომ შემთხვევის ოჯახის აძლევს ხახვავის ნაწილი და არა მთელი ხახვავი.

3. საარჩევნო უბნების, მიუხედავათ მათი შეცვალის შედარებით შარშანდელ წელთან, მაინც ზედმეტად დაბეგვრილნი აღმოჩნდნენ.

4. წრეკვანდელი გადასახადის სიმძიმე, შედარებით შარშანდელთან შემცირებულია მეტად ვიდე ორჯერ. მაშინ როდესაც წელს საშუალოდ თითო მეურნეობაზე მოდის გადასახადი 8 მან. 75 კ., შარშან მოდიოდა 8 მან. 90 კ., წელს გამოეხებულია სასოფლო-მეურნეობის პროდუქციიდან არა უმეტეს 4 %-ისა.

5. მიუხედავათ გადასახადის ასეთი სიმცირისა, აკრეფა მისი წელს არ შეიძლება ცნობილ იქნეს დამაკმაყოფილებლად. პირველ ვადაზე (პირველი ნოემბერი) გადახდილნიყო მხოლოდ 23 %, ხოლო პირველი ივნისისთვის 65 % მაგიერ შემოსავლისა 54%. მიზეზი ასეთი დაგვიანებისა უნდა ვეძებოთ: გადამხდელების უკმაყოფილებაში გ

ბათუმის ტალღა

ორგანო აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოსა და აჭარის ასსრ მშრომელთა დეპუტატების ბათუმის საქალაქო საბჭოს

ბათუმის ბოტანიკური ბაღის 100-ე წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო სამეცნიერო სესიის მუშაობის დასრულების შესახებ

ბათუმის ბოტანიკური ბაღის 100-ე წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო სამეცნიერო სესია 1 ფებრუარს დასრულდა.

სესიის მუშაობაში მონაწილეობდნენ საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ბოტანიკის ინსტიტუტის, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ბოტანიკური ბაღის, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ფიზიკური ქიმიის ინსტიტუტის, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ფიზიკის ინსტიტუტის, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ბიოქიმიის ინსტიტუტის, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ბიოფიზიკის ინსტიტუტის, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ბიოორგანული ქიმიის ინსტიტუტის, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ბიოლოგიური ფიზიკ

მუშათა ცხოვრება

ჩვენს დაწესებულებებს ანგარიშს არავინ არ უწევს

(ჩვენი საწარმოო თათბირების ცხოვრებიდან)

მე ამ წერილში შევეხები ტფილისს საქონლის სადგურში ზაკკომრუზის მტვირთავ მუშათა ადგილკომთან ხარისხებული საწარმოო თათბირის მუშაობას. ამ თათბირის წევრები მხოლოდ და მხოლოდ მტვირთავი მუშები, მაგრამ თქვენ განკვიფრებაში მოხვალთ, როდესაც ნახავთ მათ ნამსჯელებს და გამოტანილ დადგენილებებს. თითქმის ყველა ნაკლულოვანებანი, რომლებიც კი შეუმჩნევიათ, გადაყვანილია მუშათა ძალის რაოდენობაზე. აქედან გამომანგარიშებულია, თუ რა ზარალი მოსდის დარგს წელიწად.

ჩემს წინ დევს ამ თათბირის ოქმი № 5 1925 წ. მაისის თარიღით, სადაც დაწერილებით არის აღნიშნული, რომ საქონლის სადგურში არა აქვთ საკმაო რიცხვი საკაბურების, სახიდების, ლოქების, საგორავების, ნიჩბების, თოკების; არა აქვთ მძიმე წონის ცალების გამოსატვირთად ასაწევი ონკანი, ბაქნები საწყობების № № 17, 18, 19, 20, და 21-ს წინ ასფალტის მაგიერ ხრეშით არის მოყრილი და რომ ყველა ეს იქნეს მოწესრიგებული, დარეს დარჩება ეკონომია 20 მუშა ძალის, რომლის შესანახავადაც ყველა პროცენტების დამატებით, იხარჯება თვეში 1050 მანეთი (მუშის ხელფასი 42 მან. დაზღვევა და სხვა ანარიცხები 25 %-10 მან. 50 კაპ. გამოანგარებული 24 დღეზე—1050 მან.)

მართლაც როგორ უნდა იმუშაოს მტვირთავმა მუშამ, თუ მას საკაბური არა აქვს, ლომი და საგორავი არა აქვს; თუ ის უცდის მეორე საწყობის ჯგუფს მუშებისას, თუ როდის გააღებენ ეს ჯგუფი მუშაობას და გაანთავისუფლებს საჭირო საგნებს.

ყველა საწყობებში მუშაობა სწარმოებს ერთ და იმავე დროს და ამიტომ არავითარი მოცდა არ უნდა იყოს საჭირო, ეს ტენდენცია საშუალებები უნდა იყოს ყველა საწყობებში და საკმაოდ.

წინეთ ძველი რეჟიმის დროს, როცა დარგის გზას ჰქონდა მძიმე წონის ცალების გადმოსატვირთავად ან დასატვირთავად ასაწევი ონკანი. ამის ნაშთი ეხლაც არის ძველ სამხედრო ბაქანზე, სადაც ასეთი ონკანის სვეტი: ეხლა კი, როდესაც შრომის კანონები გვაქვს, რომლითაც განსაზღვრულია ასაწევი ცალის სიმძიმის რაოდენობა, ჩვენ ვხედავთ, რომ 200 ფუთიან ცალს 10-12 კაცი ეჭიდება 4-6 საათს მაშინ, როდესაც ონკანის საშუალებით 3-5 კაცი თავისუფლად გადმოტვირთავდა ან დატვირთავდა ამისთანა ცალს 2-3 საათის განმავლობაში.

ყველა საწყობების ბაქნები ასფალტით არის მოყვნილი, გარდა 17-18-19-20 და 21 საწყობებისა. ამ საწყობების წინ კი ხრეში არის დაყრილი, რაც აფერხებს მუშაობას როგორც ზამთრის გადაგორების დროს, ისე საზიდებით მოქმედების დროსაც.

ყველა ამების მიხედვით საწარმოო თათბირის არამც თუ არ გადაუჭარბებია მოცდა, არამედ ნაკლებია ამ ნაკლებ ბებია ზარალის გამოანგარიშებაში, პირიქით აუღია მინიმუმი.

არის კიდევ მეორე ოქმი № 6—15 ივნისის თარიღით, სადაც მუშურის თვალსაზრისით არის განხილული, თუ როგორი ზედმეტი სამუშაოებია შესასრულებელი იმისთვის, რომ გაიგზავნის დანიშნულებისამებრ გამგელი ტვირთი, ის ტვირთი, რომელიც მიდის მაგალითად მოსკოვიდან ბათუმში და ტფილისში მოხდა რონოდის გადაჭრება. აქაც ციფრით არის ნაჩვენები თუ რა ზარალი მოსდის თავის დარგისას, „ზაკპოგრუზ“-ისას რიგებლობით.

არის კიდევ სხვა დადგინილებები, რომლებიც პირდაპირ ეხებიან წარმოების წინ წაწევას, მაგრამ როგორც კარგის მთქმელს კარგი გამგონი უნდა, ისე კარგს დაოგენილებასაც ასრულება უნდა. ასრულებაზე კი როგორც სჩანს ჯერ ჯერობით არავინ ფიქრობს.

ამ საწარმოო თათბირის მუშაობა მით არის საყურადღებო, რომ ის აკეთებს ორი დარგის საქმეს. პირველი, თავის დარგისას. „ზაკპოგრუზ“ ისას, რომელშიდაც თვითონ წევრებად ირიცხებიან და მეორე კი თუ დადგენილებები სისრულეში მოვიდა, რკინის გზის წარმოების საქმეც წინ წავა.

აღსანიშნავია ისიც, რომ თათბირის დადგენილებებში არ არის ისეთი რამ, რომელიც მოითხოვდეს დიდ ხარჯებს ან განსაკუთრებულ კრედიტების გახსნას. იქ არის ისეთები, რაც აუცილებელია ყოველდღიურ ნაყოფიერ მუშაობისთვის და ჩვენ გვაკვირს, როდესაც ამისთანა დადგენილებებს ყურადღება არ ექცევა.

დადგენილების პირი ეგზავნება სისრულეში მოსაყვანად „ზაკპოგრუზ“-ის ადმინისტრაციას, რკინის გზის სამმართველოს და ამრეთვე მუშათა და გლეხთა ინსპექციასაც, ისიც მოიყვანეს სისრულეში. ეს ყანები რომელიშიდაც მე-15 წელიწადია ვდგევარ და ვმუშაობ სხვებისთვის მიუყიდნიათ. შინაური პირობებით—და მე შიგ აღარ მიშვებენ მოგზართვე ღარიბი გლეხი, რომ მირჩიოო რამე, თუ რა გზას დავადგე.

აქეთ თუ არა ჩემ ყოფილ მებატონე ჩიკვაიძეებს მიწის ჭერდულად გაყიდვის უფლება?

გლეხი ოქრუა გლახუსიძე ქოჩლაძე.

პასუხი.

მიწა ტყუთენის მუშურ-გლეხურ სახელმწიფოს, მაზე კერძო საკუთრება მოსპობილია. იგი ეძლევა დასამუშავებლად და მხოლოდ მფლობელობა-სარგებლობის წესით იმათ, ვინც საკუთარი შრომით ამუშავებენ მას. მიწის ყიდვა-გაყიდვა **მიწის კანონთა კოდექსის მუხ. 25-ის თანახმად** სასტიკად აკრძალულია და ვინც ამას ჩაიდენს, მიეცემა პასუხისგებაში სისხლის სამართლის წესით და მიწაც ჩამოერთმევა.

პირადათ თქვენ გირჩევთ მიმართოთ ადგილობრივ სახალხო სასამართლოს თქვენი, როგორც მიწის მოსარგებლის, დარღვეულ უფლების აღსადგენად.

ამასაც გოლო უნდა მოუღოთ

ჩვენს გაზეთის ფურცლებზე თითქმის ყოველ დღე ჰკითხულობთ ამა თუ იმ ჩადენილ ბოროტმოქმედებაზე და ფულების გაფლანგვაზე და სხვა.

ყოველივე ამას ამ უკანასკნელ დროს დიდი ყურადღება მიაქცია როგორც ჩვენმა სასამართლომ, ისე პროფკავშირებმა და პარტიამ, და დანუნდრად დაუწყეს დასჯა იმ არამზად ხალხს. რომლებიც დღემდის არ შერიგებიან საბჭოთა ხელისუფლებას და სისტემატიურად ეწევიან ბოროტმოქმედებას; ფლანგავენ ფულებს, ითვისებენ მშრომელი ხალხის დოვლათს და სხვა.

მაგრამ არის კიდევ ერთი მეტად მავნე და არა ნაკლები ზიანის და ზარალის მომტანი მოვლენა. ეს არის დაუდევრობა სამსახურში. დაუდევრობა კი ჩვენს საბჭოთა-რესპუბლიკებში ძლიერ გამრავლებულია და ამას დიდი ზარალი მოაქვს ისედაც სუსტ და ახლად აღმშენებლობის გზაზე დამდგარ სახალხო მეურნეობისათვის.

მაგალითისთვის მინდა მოვიყვანო ერთი ფაქტი. წარსული წლის ზაფხულში 20 საქენაძის ქვა მოზიდეს (ლოტკის მთაზე) ტულის ჭუჩიდან ხიდის გასაკეთებლად, მაგრამ ეს ქვა დღესაც იქ არის და ხიდის გაკეთებაზე როგორც სჩანს, არავინ ფიქრობს. ეს ქვა არის მოშალი ქვა და, თავის-თავად ცხადია, რომ ამდენს ხანს წვიმებში და სიცხეებში გამოვლილ ქვას ზარალი ექნება. დღემდის აქ უკვე შენელო ზარალია, მაგრამ თუ დარჩა გაზაფხულამდის ამ რამდენიმე საჭირო ქვისაც დარჩება ერთი საჭირო საქმისთვის გამოსადეგი ქვა.

ასეთი უყაირათობა – თუთიყუშობასაც უნდა გამოეცხადოს სასტიკი ბრძოლა.

მუშა **სიონელი.**

ეს სურათი ჩვენც უნდა ვნახოთ

(სახალხო კინო-მრეწველობის საყურადღებოდ)

ჩვენ მთავარ სახელოსნოების მუშამოსამსახურეები ვიქნებით არა ნაკლებ—2.500 კაცისა, ამას ზედ დაუმატოთ ჩვენი ოჯახის წევრები გამოვა საშუალოთ 5000 კაცი სულ 7.500 კაცი, რომელიც შეადგენს ერთ ჰატარა ქალაქს, მიუხედავად ამისა, თუ რამე სანიტერესო და კარგი ძალებისგან შესდგება ან წარმოდგენა ან კინო, ცდილობენ მოაწყონ ასეთი მხოლოდ ცენტრში მცხოვრებლებისათვის და როცა მათ მობეზრებათ, მერე ბევრის ხვეწნის შემდეგ შეიძლება, ჩვენც დიდუბის და ლენინის უბნის მცხოვრებლებსაც გვაღირსონ.

სტატისტიკურად არ დავიწყებ ჩამოთვლას ყოველივე იმ პიესების და კინოებისა, რომლებს ჩვენ ჩამოვრჩით და ვერც ვეღირსეთ. მე მინდა შევჩერდე კინო სურათზე „**ვინ არის დამნაშავე**“.

ნუ თუ ჩვენ კლუბებში, როგორც არის მაგალითად ლენინის რაიონში პლეხანოვის კლუბი და ორჯონიკიძის კლუბი (მუშტაიდში) არ დაიდგმებიან მუშებისათვის ეს სურათი, თუ იმისი ეშინიათ, რომ ჩვენ უფასოდ შევალთ? არა ჩვენ-უფასოდ არსად არ შევსულვართ და არც აქ შევაწუხებთ. საჭიროა მხოლოდ ჩვენსკენაც გაიმოიხედოთ და ეს სურათი გაიჩვენონ, თუ რა ძვირფასი საქონელი და ფრინველი. მასვე მიზნად აქვს დასახული მიაწოდოს აგარაკ წყალტუბოს ავადმყოფებს ყოველგვარი რძის ნაწარმოები.

დღითი-დღე იზრდება საზ-ბის წევრთა რიცხვი. ამხ. კახიანი კავშირს შეძლებისდაგვარად ეხმარება მომავალ აგრონომ სტუდენტებს და მოზარდ ახალგაზრდობას.

ვინმე გენადი.

— მოარჯულეთ ეს ექსპლოატატორი. მუშები რომელიც მუშაობენ კერძო ვაჭრებთან, მუშაობენ არამც თუ 8 საათს, არამედ 12 საათს და მეტსაც ყოველდღიურათ. ავიღოთ ღვინის სარდაფების მუშები. ესენი სამუშაოზე მოდიან 7 საათზე დილით და მუშაობენ საღამოს 7—8 საათამდე. მათი უმრავლესობა არც კი არის ჩაწერილი კავშირში და მიმაგრებული რომელიმე ადგილკომთან და თუ ვინიცობაა ვინმემ „გაბედა“ და ჩაეწერა რომელიმე კავშირში, ის იქნება დათხოვნილი უწყალო „აღას“-მიერ.

კონკრეტიულად ვასახელებ ერთი ამისთანა „აღას“ მოქ. ტერაზაროვს, რომელსაც ღვინის სარდაფი აქვს გოგოლის ქუჩაზე № 52-ში, იქ მომუშავენი დატანჯული და შეცინცრებული არიან არშაკა ტერაზაროვისაგან, რომელიც არ უწევს ანგარიშს დღევანდელ წეს-წყობილებას და მხოლოდ იმაზე ფიქრობს, რომ რაც შეიძლება მეტი ფულები ჩაიჯიბოს.

შრომის ინსპექტორო, შენ იცი ამისთანა „ლიპიანების“ მორჯულება.

მუშკორი **ლიპიანი.**

— ასეთ ვერაგობას ბოლო უნდა მოუღოთ. 25 იანვარს, ღამის 10 საათზე, ორჯონიკიძის ქუჩაზე ტრამვაის შესახვევის მახლობლათ სამორიგეო სადარაჯოზე მდგომ მილიციონერმა ალექსანდრე დალბაშვილმა სამი არმიელთა თანმხლებ პირი ჩაალაპარაკეს, რათა ესაუბრებოდეთ და იქვე მიმთვალ ახალგაზრდა ქალზე ვითომ დაპატიმრების სახით წეყვანათ სადმე. ეს გაეგონათ გამგელებს და მორიდან შესცქეროდენ. სხვათა შორის რკ. გზის საავადმყოფოს ექიმი – მირიანაშვილიც იყო ამ სურათის მოწმე. მილიციონერი არმიელთან ერთად კიდებდენ ხელს ქალს, (ვითომ ატუსაღებდენ) ქალი კიოდა, ამ საზარელმა სურათმა გამგელებს ყურადღება მიიქცია და ირგვლივ შეიკრიბენენ და მილიციელს ეკითხებოდენ: რაშია საქმეო. მილიციონერის პასუხი ასეთი იყო: რა თქვენი საქმეაო!

— თუ არაა ჩვენი საქმე, წაიყვანე კომისარიატში და მეც თან გამოგყვები და იქ გავიგებ, თუ რაშია საქმე მეთქი. ვეარი ვკითხე. ვეარი არ მითხრა. მე მაინც გავიგე. რომ ვერაფერს გახდა, მიატოვა ქალი და სადაც მიიმალა.

ამხანაგო ხმალაძევ, პასუხი უნდა მოსთხოვოთ ამ გარყვნილ მილიციონერს.

ქალაქის საბჭოს წევრი **ოლიმპიადა სანაძე.**

— რა მიზეზით დაჰაგრეთ ეს მუშა?

ლენინის სახელობის მესამე თამბაქოს ფაბრიკაში მუშაობს ძველი მუშა-რევოლიუციონერი ამხ. მიხო ვარსიმაშვილი. ამხ. მიხა თავგამოდებით მუშაობს. იგი ასრულებს თავის სამუშაოს ნორმა ნახევრის როდენობით. ამხ. მიხო ამ დღეებში ავად გახდა. მას უნდა მიეღო დამზღვევ სალაროდან ფულადი დახმარება მისი სრული ხელფასის როდენობით. მაგრამ ფაბრიკის მესვეურებმა დამზღვევ სალაროს ამის შესახებ სწორი ცნობა არ მისცეს და მას დააკლეს ზედმეტი საათების და ნახევარი ნორმის ხელფასი.

სირცხვილი ასეთ ფაბკომს!

მუშა **მეთამბაქოე.**

— დღეს, 4 თებერვალს, საღამოს 6 საათზე, ლენინის რაიკომის საორგანიზაციო განყოფილების შენობაში მოწვეულია განათლების მუშაკთა კვარტირის კომისიის წევრთა და კანდიდატების საორგანიზაციო კრება კომუნალური მოსახლეობის ხსენებულ კვარტირებში მყოფ და ლენინის რაიკომის ტერიტორიაში (11 და 12 სამიოციო რაიონები) მომუშავე პარტიის წევრთა და კანდიდატთა დასწრება სავალდებულოა.

ლენინის რაიკომის მდივნის მაგ. კომახიძე.

— საქ. კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის მე-2 რაიკომი იუწყება, რომ ხუთშაბათს, 5 | ნ. 4 თებერვალს, საღამოს 5 საათზე, რაიკომის შენობაში გაიმართება მე-2 რაიონის მილიციის სხდომა.

ყველა იმ ამხანაგების და კომკავშვირელების დასწრება, რომელნიც გადაყვანილ იქნებიან პარტიის წევრებად, სავალდებულოა.

მდივანი — **ფანცულაია.**

— საქ. კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის მე-2 რაიკომის სააგიტ-საპროპაგანდო განყოფილება იუწყება, რომ პარასკევს, 5 თებერვალს, საღამოს 5 საათზე, მუშათა ცენტრალური კლუბის შენობაში (ალეკ. 123) გაიმართება მე-2 რაიონის ქვემოდ დასახელებულ უჯრედების უპარტიო მუშების კრება:

დღის წესრიგი:

1. ამხ. სვანიძის მოხსენება „მე-14 პარტყრილობის შედეგების შესახებ“.

ყველა უპარტიო მუშათა დასწრება სავალდებულოა.

1. არსენალი, 2. 26 კომუნარის სახ. ქარხანა, 3. „ავტოპრომტორგ“-ი, 4. ელექტრონზე მომუშავენი, 5. სპილენძის ჩამომხმელი ქარხანა, 6. მექანიკური—სარემონტო ქარხანა, 7. ო. ლიუქსემბურგის სახ. თამბაქოს ფაბრიკა, 8. სახურავი კარხანა, 9. წყალსადენის სახელოსნო, 10. ცეკ ვშირი, 11. საქ. სახელმწ. ვაჭრ. სამაია ამხ-ნაგობა, 12. ქიმიური ქარხანა.

მდივანი—**ფანცულაია.**

— საქ. კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის მე-2 რაიკომის სააგიტ-საპროპ განყოფილება იუწყება, რომ პარასკევს, 5 თებერვალს, საღამოს 5 საათზე, მუშკოოპის კლუბის შენობაში (კირკის ქ.) გაიმართება მე-2 რაიონის უჯრედების უპარტიო მუშათა კრება.

დღის წესრიგი:

1. ამხ. ნაზარეტიანის მოხსენება „მე-14 პარტყრილობის შედეგების შესახებ“.

ყველა უპარტიო მუშათა დასწრება სავალდებულოა.

1. აბრეშუმის სართ. ფაბრ., 2. თამბაქოს ქარხ. „პროლეტარი“, 3. კარდონების ფაბრ , 4. მეტყვეები, 5, „შვეიპრომ“, 6. სახლის მეშვები, 7. მე-3 საქარხ. კომიტეტი, 8. მშენებლები, 9. „სანტეხ“, 10. სახ. მეურნ. უმაღლ. სახვ., 11. კინო-ფაბრიკები, 12. მთავ რი საავადმყოფო, 13. „ზაკსოციუზ“, 14. კინო-მეშაკები, 15. განათლების მუშაკთა კ-ვშირი, 16. პროლეტკულტი, 17. მუშკოოპის ტრანსპორტი, 18. ილეკსანდრეს ს. ვ დმყოფ, 19. მუშკოოპი, 20. დაზღვევი სალარო.

მდივანი—**ფანცულაია.**

— ს. კ. პ. (ბ) ცეკას საორგანიზაციო განყოფილება იწვევს ქვემოთ ჩამოთვლილ ამხანაგებს, რათა ისინი გამოცხადდენ **ცეკას საორგანიზაციო განყოფილებაში დღეს, 4 თებერვალს, საღამოს 6 საათზე.**

1. ბახტაძე ნიკ. 2. დოლიძე თ. (იუსტ. სახ. კომ). 3. ხუბოვი (ა | კ. რკ. გზ.) 4. ი შვილი (ა | კ. სოც. ფ. რ. შრ. სახ.) 5. ჩიხლაძე (მედიკ-ვეტერ. ა). 6. ელიაბდველი (სან. ღვინო), 7. შოყრაძე (ა | კ. საოლქო კომიტ.). 8. გ-რდონიანი (ა | კ. მ | გ. ინს.) 9. პოლისკი (ს. პ. კ. ს.), 10, იუზბაშ ვი ამირი (ბირლაკიდან), 11. შარვანსი (შინაგ. სახკ.), 12. ბობოხიძე ალ. 13. ბუხნიკაშვილი (კ. ალმასკომი), 14. მოყრანელიძე, 15. ჭელიძე, (ს. პ. კ. ს.), 16) ადიციური (შინ. საქ სახკ.)

დასწრება ყველ სათის სავალდებულოა.

ს. კ. პ. (ბ) ცეკას საორგ. განყ. მდივანი: ცაგარელი.

— საქ. ახალგ. ლენინურ კომკავშირის თბილისის კომიტეტის საორგანიზაციო კოლეგია აუწყებს საორგანიზაციო კოლეგიის ყველა წევრებს და აგრეთვე კომკავშირში ახლად შესულ ამხანაგებს, რომლებიც დამტკიცებული უნდა იქნენ, გამოცხადდენ დღეს, 4 თებერვალს, დღის 2 საათზე საქ. ახალგ. ლენინურ კომკავშირის თბილისის კომიტეტს შენობაში (რუსთაველის პროსპ. № 20).

საქ. ახალგ. ლენინურ კომკავშირის თბილისის კომიტეტის საორგანიზაციო განყოფილების გამგე **სალუქვაძე.**

ვინ არის წინააღმდეგი?

მე-2 დავიწის მე-6 ლეგიონის ბიურო კოლექტივი შემოტანილია აქეთ ვაცხადებები, ა) ლეგიონის ოც. მეთ. დ. წ | პრმიელენს კომპარტიის (ბ) კანდიდატებათ ითვლების შესახებ.

1. თოკაძე ვარლამ მიხეილისძე, 2. ჯაიანი ალექსანდრე ილიას ძე, 3. ჯაფარიძე ლეონიდ, 4, ფ. იქრიშვილი გრიგორი დავითის ძე, 5. კაპანაძე პეტრე მიხეილ ს ძე, 6. რაფ.ქიძე გრიგორი ივანეს ძე, 7. სპილენძი ჩამომხმელი ქარხანა, 8. მექანიკური—სარემონტო ქარხანა, 9. ლობკანიძე ბესარიონ გრიგორის ძე, 10. ჭელიძე გრიგორ ბეგლარის ძე.

კოლექტივი სთხოვს თუ ვინმე რამე საწინააღმდეგო იცის აღნიშნულ ამხანაგების შესახებ გვაცნობოს წერილობით ან დეპეშით შემდეგ მისამართით: ქახეთის ქუჩა № 16 მ-ნ ლეგ. ბ | კოლექ. მდივანს ტ. № 6—31

ბ | კოლექტივის მდივანი ნამგალაძე.

ბანცხადებები

ღრმად დამწუხრებული ვიტყობინებთ: გარდ. გ., ბ. კ. ლ. ბ. ი. ა., ბ. ლი ანტტ: შვილიშვილები—ნინო, ვარდიკო, მუსი, ელენე, შუშუ, თამარა, კაკო, მეთო და მიშა, სიძეები—გიორგი ჭყონია და ირაკლი ციცუშვილი ატუწუებ ნათესავებს, მეგობრებს და ნაცნობებს, რომ ხანმოკლე ავადყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათთვის დაუვიწყარი, უსაზღვროდ საყვარელი დედა

ვარდიკო თომას ასული სოფტარიასი

ცხედარს გამოასვენებენ თავის ბინიდან (ბელინსკის ქ. 61) რკინისგზის სადგურზე 4 თებერვალს, ნაშუადღევის 4 საათზე, დაკრძალვა შედგება 5 თებერვალს, ნაშუადღევის 4 საათზე. 1—1

1.394

ნია გიორგის ასული და ირაკლი ნიკოლოზის ძე ციცუშვილები შვილით თამარაძი ატუწყებენ ნათესავებს, მეგობრებს და ნაცნობებს, რომ ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათთვის საყვარელი და დაუვიწყარი ბებია

ვარდიკო თომას ასული სოფტარიასი

ცხედარს გამოასვენებენ თავის ბინიდან (ბელინსკის ქ. № 61) რკინისგზის სადგურზე 4 თებერვალს, ნაშუადღევის 4 საათზე. დაკრძალვა მოხდება 5 თებერვალს, ნაშუადღევის 4 საათზე სუჯუნაში.

1394 1—1

გაიყიდა გაზეთი

ახალი საქართველო

№ 18

იყიდება ყველგან ფასი 70 კ.

რუსთაველის თეატრი: დღეს, 4 თებერვალს

ოპერეტტა

მასკოტ

ზაბათს, 6 თებერვალს

დეზერტირკა

ნ. 712 2—1

იერიქონის რჩევა-დახმარება

ყურ. გლეხებისგან მიწა გამო ვიდეს, როგორ მოვიქცეთ?

კითხვა.

მე ვარ რაჭის მაზრის და სოფელ ჩონის მცხოვრები გლეხი. წინად ჩვენ ვიყავით სოც. სამთოსის (რაჭა) მცხოვრებელ ახზიურ ჩიქვაიძეთა ყმები. ჩვენმა მამა-პაპამ თავის დასახსნელად მისცა ამ ჩიქვაიძეებს **ორი** საყანე **ადგილი.** მაგრამ ვიწაიდან ისინი მიწაზედ არ მუშაობდენ, ამიტომ ეს ყანები დასამუშავებლად ისევ მე გადმომეცა იმ პირობით, რომ მოსავლის ნახევარი ჭითთეს უნდა მეძლია. რასაც ვიდღეს ვამლევედი საქართველოს გასაბეგრამდის. ეხლა კი ასეთს მათ არ ვაძლევ. ისინი მიწაზედ მომუშავენი არასოდეს არ ყოფილან და არც დღეს არიან. თავს ქალაქად და სოფლად ინახავენ სხვადასხვა სახახრით და აღებ-მიცემობით.

მიუხედავათ ყველა ამისა, ისინი თავს მაინც არ მანებებენ და მოითხოვენ ჩემგან: ან შემისყიდე ეს ყანები და ან როგორც წინად გაძლევდი, ისე ეხლაც უნდა მძღლია მათთვის მოსავლის ნახევარი.

წინაააღმდეგ შემთხვევაში ჩვენ ეს ყანები სხვას უნდა გადავსცეთო, რაც კიდევ ბებია ზარალის გამომანგარიშებაში, პირიქით აუღია მინიმუმი.

არის კიდევ მეორე ოქმი № 6—15 ივნისის თარიღით, სადაც მუშურის თვალსაზრისით არის განხილული, თუ როგორი ზედმეტი სამუშაოებია შესასრულებელი იმისთვის, რომ გაიგზავნის დანიშნულებისამებრ გამგელი ტვირთი, ის ტვირთი, რომელიც მიდის მაგალითად მოსკოვიდან ბათუმში და ტფილისში მოხდა რონოდის გადაჭრება. აქაც ციფრით არის ნაჩვენები თუ რა ზარალი მოსდის თავის დარგისას, „ზაკპოგრუზ“-ისას რიგებლობით.

არის კიდევ სხვა დადგინილებები, რომლებიც პირდაპირ ეხებიან წარმოების წინ წაწევას, მაგრამ როგორც კარგის მთქმელს კარგი გამგონი უნდა, ისე კარგს დაოგენილებასაც ასრულება უნდა. ასრულებაზე კი როგორც სჩანს ჯერ ჯერობით არავინ ფიქრობს.

ამ საწარმოო თათბირის მუშაობა მით არის საყურადღებო, რომ ის აკეთებს ორი დარგის საქმეს. პირველი, თავის დარგისას. „ზაკპოგრუზ“ ისას, რომელშიდაც თვითონ წევრებად ირიცხებიან და მეორე კი თუ დადგენილებები სისრულეში მოვიდა, რკინის გზის წარმოების საქმეც წინ წავა.

აღსანიშნავია ისიც, რომ თათბირის დადგენილებებში არ არის ისეთი რამ, რომელიც მოითხოვდეს დიდ ხარჯებს ან განსაკუთრებულ კრედიტების გახსნას. იქ არის ისეთები, რაც აუცილებელია ყოველდღიურ ნაყოფიერ მუშაობისთვის და ჩვენ გვაკვირს, როდესაც ამისთანა დადგენილებებს ყურადღება არ ექცევა.

დადგენილების პირი ეგზავნება სისრულეში მოსაყვანად „ზაკპოგრუზ“-ის ადმინისტრაციას, რკინის გზის სამმართველოს და აგრეთვე მუშათა და გლეხთა ინსპექციასაც, ისიც მოიყვანეს სისრულეში. ეს ყანები რომელშიდაც მე-15 წელიწადია ვდგევარ და ვმუშაობ სხვებისთვის მიუყიდნიათ. შინაური პირობებით—და მე შიგ აღარ მიშვებენ მოგზართვე ღარიბი გლეხი, რომ მირჩიოო რამე, თუ რა გზას დავადგე.

აქეთ თუ არა ჩემ ყოფილ მებატონე ჩიკვაიძეებს მიწის ჭერდულად გაყიდვის უფლება?

გლეხი ოქრუა გლახუსიძე ქოჩლაძე.

პასუხი.

მიწა ტყუთენის მუშურ-გლეხური სახელმწიფოს, მაზე კერძო საკუთრება მოსპობილია. იგი ეძლევა დასამუშავებლად და მხოლოდ მფლობელობა-სარგებლობის წესით იმათ, ვინც საკუთარი შრომით ამუშავებენ მას. მიწის ყიდვა-გაყიდვა **მიწის კანონთა კოდექსის მუხ. 25-ის თანახმად** სასტიკად აკრძალულია და ვინც ამას ჩაიდენს, მიეცემა პასუხისგებაში სისხლის სამართლის წესით და მიწაც ჩამოერთმევა.

პირადათ თქვენ გირჩევთ მიმართოთ ადგილობრივ სახალხო სასამართლოს თქვენი, როგორც მიწის მოსარგებლის, დარღვეულ უფლების აღსადგენად.

ამ კოლეგიდან ვის რა ჭილი გვაკუთვნის

კითხვა

ექვსი წლის წინათ გარდაგვეცვალა დედამამა; დავრჩით მე და ჩემი და, რომელიც ეხლა 18 წლისაა. მშობლებისაგან დაგვრჩა ხახლი და მიწის ნახევარი ნორმა. მშობლების სიკვდილის შემდეგ მე ავაშენე შენობები. ეხლა ავადმყოფობის გამო სრულიად დავბერდი ეს ყველაფერი და ვსახურობ რკ. გზაზე. მყავს ცოლ-შვილი. ჩემი და არ მოდის ჩემთან საცხოვრებლად, არც სხვაგან თხოვდება, ფიქრობს საერთო მამულში ქმრის მოყვანას.

ამიტომ მოითხოვს ნახევარ ქონებას მთლად; ჩემს ცოლს და შვილს წილს არ აკუთვნებს. მე ვაძლევ ან მთელი ქონების ¼ ნაწილს ან მამისაგან დარჩენილის ნახევარს; ჩემგან ჩემივე სარჯზე აშენებულ შენობებს კი ჩემ საკუთრად ვსთვლი.

გთხოვთ ამეხსნათ:

1. რამდენი და რისგან (მამისოული და ჩემი შეძენილიდან) ერგება წილი ჩემ დას?

2. რამდენი და რისაგან ერგება წილი ჩემს ცოლს და შვილს?

3. შეუძლიან თუ არა დას, არც იყიდოს ჩემი წილი სახლ-კარისა, არც გამაყიდვინოს საერთო ქონება და თვითონ არ წამომყვეს ჩემ მუდმივ საცხოვრებელ ალაგას, ან და არ მიიღოს თავისი წილი ფულად?

4. რამდენ ხანს შემიძლია ვიუფლო მიწა სოფელად ჩემი წამოსვლის შემდეგ?

5. სანამ მე ცოცხალი ვარ და ქონებაც გაუფუჭებია ჩემ ნება დაურთველად აქეს თუ არა ჩემ დას უფლება მოიყვანოს ქმარი ჩვენ საერთო ქონებაზე?

კავშირის წიგნაკის № 27988.

პასუხი

თანახმათ მიწის კანონთა კოდექსის მუხ. 40-ისა კომლის წევრებად ითვლებიან, როგორც ყველა სახლში მოსაწოლენი, (ამ შემთხვევაში თქვენი ცოლიც) განურჩევლად წყლანებისა (ამ შემთხვევაში თქვენი შვილიც და დაც), ისე დროებით სამუშაოზე წასულნი, რომელნიც კანონიერი წესით არ არიან ამორიცხულნი ოჯახიდან; კომლის შემადგენლობა კი იზრდება ქონებრივებით ან შვილად აყვანით. რძლად მოყვანილ (ამ შემთხვევაში თქვენ ცოლს) აქეს იგივე უფლებები კომლის საერთო მიწის და ქონების სარგებლობაში, როგორც კომლის ძირითად წევრს. (იხ. იმავე მუხ. შენიშვნა).

თქვენ გსურთ გაყრა, როგორც თქვენი განცხადებიდან სჩანს. გაყრა კი, თანახმად მიწის კოდექსის მუხ. № 47-ისა, ნიშნავს კომლის მიწების და საერთო ქონების განაწილებას კომლის ყველა წევრთა ხორის ცალკე სარგებლობისათვის, განურჩევლად სქესისა და წლოვანებისა.

კომლის გაყოფის მოთხოვნის უფლება არა აქვს იმ პირს, ვისაც არ შესრულებია 18 წელი და აგრეთვე იმ პირს, ვისაც არ მიუღია პირადი შრომით ან სალხარით მონაწილეობა კომლის მეურნეობაში სამ წლის განმავლობაში არა საპატიო მიზეზებისა გამო (იხ. იქ. მუხ. 49).

მიწების და ქონების გაყოფა მოხდება ნატურად; თანაც ქონების (და არა მიწის) გაყოფის დროს შეიძლება ერთი საგანი მეორე საგნის ანგარიშში ჩაითვალოს, აგრეთვე ანგარიშის გასწორება მოხდეს ფულით, თ ქონებაზეთით. გაყოფა მხოლოდ ის ქონება, რომელიც საერთო ხარგებლობაშია. თუ კი კომლის რომელიმე წევრს პირადი შრომით, ან ხალხით. აქვს შეძენილი რაიმე ქონება და თუ ის ამას ხათანადო ხაბუთებით და მოწმეებით დაამტკიცებს, ეს უკანასკნელი ამის ხრულ განკარგულებაში რჩება და გასაყოფ ქონებაში არ უნდა იქნეს შეტანილი (იხ. იმავე კოდექ. მუხ. 50 და 51-ისა).

საერთო ქონების მონაწილე დას აქვს უფლება არ გაგაყიდვინოს საერთო ქონება და მოითხოვოს თვისი წილი ნატურით; მაგრამ აქვს უფლება დარჩეს საცხოვრებლად, სადაც ეს მას სურს და სრულებით ვალდებული არ არის იცხოვროს მხოლოდ თქვენთან.

მიწაზე უფლება ენახება მეურნეს არა უმეტეს სამი წლისა ამ შემთხვევაში, თუ კი იგი სწყვეტს კავშირს თავის მეურნეობასთან და არ გამოჩენეს მიწას ზედიზედ სამ წლის განმავლობაში არა საპატიო მიზეზებისა გამო. წინააღმდეგ შემთხვევაში მისი მეურნეობა მოსპობილად ჩაითვლება და მას მიწა ჩამოერთმევა. (იხ. იქავე მუხ. 16).

ეს სურათი ჩვენც უნდა ვნახოთ

(სახალხო კინო-მრეწველობის საყურადღებოდ)

ჩვენ მთავარ სახელოსნოების მუშამოსამსახურეები ვიქნებით არა ნაკლებ—2.500 კაცისა, ამას ზედ დაუმატოთ ჩვენი ოჯახის წევრები გამოვა საშუალოთ 5000 კაცი სულ 7.500 კაცი, რომელიც შეადგენს ერთ ჰატარა ქალაქს, მიუხედავად ამისა, თუ რამე სანიტერესო და კარგი ძალებისგან შესდგება ან წარმოდგენა ან კინო, ცდილობენ მოაწყონ ასეთი მხოლოდ ცენტრში მცხოვრებლებისათვის და როცა მათ მობეზრებათ, მერე ბევრის ხვეწნის შემდეგ შეიძლება, ჩვენც დიდუბის და ლენინის უბნის მცხოვრებლებსაც გვაღირსონ.

სტატისტიკურად არ დავიწყებ ჩამოთვლას ყოველივე იმ პიესების და კინოებისა, რომლებს ჩვენ ჩამოვრჩით და ვერც ვეღირსეთ. მე მინდა შევჩერდე კინო სურათზე „**ვინ არის დამნაშავე**“.

ნუ თუ ჩვენ კლუბებში, როგორც არის მაგალითად ლენინის რაიონში პლეხანოვის კლუბი და ორჯონიკიძის კლუბი (მუშტაიდში) არ დაიდგმებიან მუშებისათვის ეს სურათი, თუ იმისი ეშინიათ, რომ ჩვენ უფასოდ შევალთ? არა ჩვენ-უფასოდ არსად არ შევსულვართ და არც აქ შევაწუხებთ. საჭიროა მხოლოდ ჩვენსკენაც გაიმოიხედოთ და ეს სურათი გაიჩვენონ, თუ რა ძვირფასი საქონ

მესამე პრემია გრძელდება ჩვენება სურათის

„ვინ არის დამნაშავე?“

ჩვენების უკანასკნელი დღეებია!

იჩქარეთ ნახვა!

პრემიერა

„უკანა კარებიდან“

მერი პიკფორდის მონაწილეობით

ჩვენება: „КИРПИЧИКИ“, „ივეტტა“, „ნიგელსუნგები“.

აქოლდრო ართეასტრო სოლეი

0—15 ნ. 699

სახელმწიფო ოპერა! დღეს, 4 თებერვალს

„ურიის ქალი“

პარასკევს, 6 თებერვალს

საგალეტო წარმოდგენა

I. ცხენოსანთა ბანაკი.
II. ესპანური კარნიჩჩიო.
III. სამბალეტო დივერტ-სმენტი.

დადგმა სერგეევის მონაწ. მთელი ბალეტი

2—1 ნ. 714

პროფესორი

გრ. მუხაძე

დასასვენებლად გაემგზავრა ქ. სოხუმში თბილისში დაბრუნდება თებერვლის მეორე ნახევარში.

25—1

ექიმი **ი. ი. ჭეიშვილი**

ისიფილისი, ვენერიული და კანის ავადმყოფ ლებს ავადმყოფ. დღე. 8—9 საათ. და. ს.ღ. 6—7 საათ. კამოს ქუჩა № 72 (ყოფილი დიდი მთავრის ქუჩა).

დაკარგულია პირადობის მოწმობა № 1013 მარია კონსტანტინეს ასულის სალიას სახელზე. ჩ. გ. 1—1 1393

დაკარგულია პ რადობის მოწმობა № 2891166 მელიტონ მელიავას სახელზე. ჩ. გ. 1—1 1396

დაკარგულია მეტრიკული ამონაწერი შალიკო კონსტანტინეს ძე შაქმაშვილის სახელზე. ჩ. გ. 1—1 1400

დაკარგულია მეტრიკული ამონაწერი № 2091 იაკობ ისაკის ძე სირანიანცის სახელზე, ჩ. გ. 1—1 1402

დაკარგულია საერიცხვო მოწმობა გრიგორის მეშველიანის სახელზე, ჩ. გ. 1401 1—1

დაკარგულია სამხედრო-საალრიცხვო ბარათი გვანტურიას სახელზე, ჩ. გ. 1—1 1403

დაკარგულია სამხედრო საალრიცხვო ბარათი ფორმა № 4, გაცემული ქ-ლის სამალიციო უბნის სამხედრო მაგიდიდან აბესალომ ბესალომის ძის წერეთლის სახელზე, ჩ. გ. 1—1 1405

დაკარგულია სამხედრო საალრიცხვო ბარათი ფორმა № 4, გაცემული მე-3 სამალიციო უბნის სამხედრო მაგიდიდან გრიგოლ გრიგოლის ძე ნაცვლიშვილის სახელზე, ჩ. გ. 1—1 1404

დაკარგულია დამზღვევი სალაროს წიგნაკი № 4997 გრიგოლ ელიზბარაშვილის სახელზე, ჩ. გ. 1—1 1392

დაკარგულია სამხედრო სამსახურის ბარათი № 1354, მოცემული რაჭის მაზრის სამხ. მაგიდის გამგესაგან, გერგეტი კობერ ძეს სახელზე, ჩ. გ. 1—1 1395

დაკარგულია თბ. სახ. უნივერსიტეტიდან გაცემული მატრიკული № 3194 შალვა ოჩიროპირის ძე ტორონჯაძის სახელზე, ჩ. გ 1—1 1.398

დაკარგულია ქვითარები № 579, 1480, 2532, 3 06. 4318, 5323, 6732, 7441, 8480 9862, 10 531, 11618, 608 გაცემანი ქალაქის აღმასკომის მიერ დარაიბაზე № 6740, ჩ. გ. 1—1 1397

სახ. სახ. მეურნეობის უმაღლეს საბჭოს

ლითონის ტრესტი

ამს. სტალინის

სახელობის

ავტო-სახელოსნო

ქ-ორა ცეტკინის ქ. № 119, ტელ. 20—97

აწარმოებს

ავტომობილების, მოტოციკლეტების, ტრაქტორების, აკუმულატორების

და 1ხვა ელექტრო-ტექნიკურ ხელსაწყოების შეკეთებას

ჯეიდის ავტომობილებს, მოტოციკლეტებს და ყოველგვარ სისტემის ავტო-ნაწილებს.

10 —1 ნ. 709

საჭიროა

1 თარჯიმანი

2 მთარგმნელი, ფერილოგიით თარგმანისათვის

1 მემანქანე სტენოგრაფიის მცოდნე (ინგლისურ ენაზე სამუშაოთ)

საჭიროა რუსული და ინგლისური ენის ცოდნა. მიმართეთ საავტომობილო საზოგადოების „საქართველოს მარგანეცის“ კანტორაში, რუსთველის პროსპ. 23.

ნის. 707—2—2

გათოშის საგაჭრო

ამით ატყობინებს, რომ ა-წ. 6 თებერვალს დანიშნულია

საჯარო ვაჭრობა

დატვირთვა-გადმოტვირთვის სამუშაოების იჯარით გასაცემად

1. ვაჭრობა იქნება დახურული, პირობის წარდგენა დახურულ კონვერტებში.

2. კონკურენცია უნდა სწარმოებდეს მოლოდ და ხოლოდ ნიხრის ნიხდევით და პროცენტული ანარიცხების გზით მთლიანად მთელი ნიხრიდან და არა ცალკე გამოყოფილ ნაწილებიდან.

3. ხელშეკრულების ტექსტი შეიცნობისა და სავალდებულოა ვაჭრობაში ყველა მონაწილეთათვის.

4. იმ პირმა, რომელსაც დარჩება აღნიშნული სამუშაო, უნდა შეიტანოს საწინდარი შემდეგი რაოდენობით:

5. საწინდრის შეტანა სავალდებულოა არა მარტო კერძო და კოოპერატიულ წარმოებებისათვის, არამედ სახელმწიფო ორგანოებისათვისაც.

6. ვაჭრობაში დაშვებული იქნებიან როგორც სახელმწიფო და კოოპერატიული ორგანიზაციები, ისე ზრომის სახ. კომისარიატის განსაკუთრებულ დადგენილებათა მიხედვით დაარსებული კოლექტივები, არტელები და ავრეთვე კერძო ორგანიზაციები.

7. იმ დაწესებულებებს და ორგანიზაციებს რომლებს, რომლებსაც აღებული აქვთ საარტელო სამუ შაოები, ესპობათ უფლება მიიღონ საექსპლდიტორო ვალდებულებანი სამაჟოსთან.

8. იმ პირებმა, რომლებსაც სურთ მონაწილეობა მიიღონ ვაჭრობაში, უნდა შეიტანონ ამ სამაჟოს დეპოზიტში საწინდარი მე 4 მუხლში აღნიშნულ პირვანდელ საწინდრის 10 პროცენტის რაოდენობით.

შენიშვნა: იმ პირთა საწინდარი, რომლებმაც აიღეს იჯარით საარტელო სამუშაოები, გადაირიცხება მე-4 მუხლში აღნიშნულ საერთო საწინდარში. ხოლო დანარჩენებს საწინდარი დაუყოვნებლივ უბრუნდებათ.

9. იმ პირებს, რომლებსაც სურთ მონაწილეობის მიღება ვაჭრობაში, შეუძლიათ გაეცნონ ხელშეკრულებას, ნიხრს და ვაჭრობის ყოველგვარ პირობებს სამაჟოში საქმეთა მმართველთან.

10. ვაჭრობის შედეგები უნდა იქნას დამტკიცებული სამჭ. კავშირის მთავარ სამაჟო სამმართველოს მიერ, რის შემდეგაც დამტკიცებული კონტრაგენტი იწყებს სამუშაოების შესრულებას.

11. დახურულ კონვერტების მიღება ბათომის სამაჟოში შეიძლება ამ განცხადების გამოქვეყნების დღიდან ა. | წ. 6 თებერვლის დღის 12 საათამდე.

ბათომის სამაჟოს მმართველი ჟ. ჯ ნია.

საქმეთა მმართველი კერესელიძე.

3—2 ნ. 694

გათოშის საგაჭრო

აცხადებს, რომ ამა წლის 9 თებერვლიდან დილის 10 საათ. მის სააუქციონო დარბაზში

ბიბლიოთეკა

დანიშნულია

საჯარო ვაჭრობა

რომლითაც გაიყიდება შემდეგი საქონელი:

1) რომლის შენახვას ვადა უკვე გავიდა, 2) რომელიც დაკავებული იქნა რაღაც მისი შემოტანა არღვევს საბაჟო ვაჭრობის მოწესრიგების წესებს და 3) საქონელი, დარჩენილი გაუყიდავად ორჯერ დანიშნულ საჯარო ვაჭრობის შედეგ

შენიშვნა: თუ პირველ და მეორე მუხლში აღნიშნული საქონელი არ გაიყიდა პირველ საჯარო ვაჭრობაზე, ხელმეორედ იქნება გაყიდული არა უგვიანეს ორი კვირისა

საქონლის სია

№№ ალწერის	ვის სახელზე ითვლება ტვირთი	საქონლის სახელწოდება	რაოდენობა ანგარიშით	რაოდენობა წონით	შეფასება
307	ნიკოგოსიანი	ბამბის ტუჩურკები მაპაკაც ძველი	1444 ცალ.	1022.97	17,286—71
330	კაცობაშვილი	ლანჩები	5 ადგ.	543.066	1632—00
457	ისაკსონი	ქაღალდი მუნდშტუკის	816 შეკ.	5192.8	1646—76
581	ამონაწერი	ყვითელი სინკალი	1 ბოჭ.	54,83	30—00
582	ამონაწერი	პაპიროსის ბაბინები	1 შეკ.	8,061	6—49
583	ციხოტსკის	ტყავის მეტრები	1 წყვ.	0,505	
		მაძაკაცის ფეხსაცმელი ლაკის	1 წყვ.	0,655	50—00
		შალის ქსოვილი	1 ნაჭერ.	1,780	
		ბამბის „	9 „	0,910	
584	„დობროფლოტ“	მსუბუქ. ავტ. ნაწ.	1 ყუთი	36,5	
		ავტობილ. სათლები	4 ცალი	0,440	300—00
585	ხუნცარია	ქალის ტუფლები ზამშ.	1 წყვ.	0,340	25—00
		გამნ. ვარჯიშ. საგნები	4 ტ 7 ცალ.	8.105	
586	ამონაწერი	შაქარი რ-ფინადი	1 ყუთი	49 კ.	35—43
587	მოგროვიანი	ბავშვის კოსტიუმი	4 ცალი	0,863	
		ბამბის ბლუზა	1 ც.	3,9,9	75—77
		ქსოვილი ბამბ.	2 ნაჭ.	2,797	
588	სააკიანცი	ბამბის ქსოვილი:			
		მამაკაც. წინდები ბამბ.	3 წყვ.		
		ზეინა-ქვედა ფუფაიკები	21 ცალი	10,445	261—99
		ბამბის ქსოვილი	19 ნ.ჭ.	27 665	
589	ახანდოვი	ქსოვილ. აბრეშ. ქერსე	1 ნაჭ.	0,559	91—32
590	ქუთათელაძე	„ „	1 ნაჭ.	0,551	90—23
591	ამონაწერი	ქალის ჩულქები	6 წყვ.		
		ბავშვის „	3 წყვ.	354 გრ.	
		წინდები	3 „		
		ქალის ჩულქ. ნახევ. შალის	6 „	255 გრ.	
		ბავშვ. ფეხსაცმ.	1 წყ.	43.1 „	175—00
		გამზადებ. წმალი	2 კოლ.	2773 „	
		დუხი „კოტი“	1 კოლ.	183,4	
		პუდრი „	2 კოლ.	187,7	
		დაწ. დაფქვ. ყავა	1 ფ.	1,64	
		შალის ქსოვილი	1 ნაჭ.	2,45	
		მამაკაც. ფეხსაც. ტყავ.	1 წყ.	1,895	
		ქალის „	1 წყვ.		
		რგოლები კარებისათვის	49 ცალ.	0,675	
		„ოტვირტკები“	1 ცალ.	0 020	27—71
		წინდის ჩხ რები ძვლის	3 ცალ.	0,005	
		შავი სატინი	1 ნაჭ.	0,765	
		ჩითი უბოალო	1 ნაჭ.	2,185	
		„	1 ნაჭ.	—	
		ქალის ტუფლები	1 წყვ.	0 506	30—00
		შალის ქსოვილი	1 ნაჭ.	1,243	50—63
		თევზის საკვები ბადე	1 ცალ.	19.27	
		შალის ქსოვილი	1 ნაჭ.	1,510	
		ბამბის ქსოვილი	3 ნაჭ.	0.472	
		ნარმა	1 ნაჭ.	0,180	64—00
		ქსოვილი თმებიდან	1 ნაჭ.	0,035	
		ფოლაქები	39 ცალი	0.030	
		„ჯუტის“ ქსოვილი	1 ნაჭ.	0,185	
		შალის ქსოვილი	1 ნაჭ.	1,325	35—00
		სხვადასხვა ნივთ. არა ხაჭ. ხასიათის მქონე	1 შეკვ.	2,455	5—98
		შალის ქსოვილი (ლურჯი)	1 ნაჭ.	2.494	
		ბაშბის ქსოვილი	5 ნაჭ.	1,481	
		ტილო	1 ნაჭ.	0,.68	100—00
		ბამბა	1 შეკ.	0,068	
		ფოლაქები	4 დ. 8 ც.	0,024	
		შარვლის დასაბნევი	1 კომპლ.	29,2 გრ.	
		პრეისკ. უც. ენაზე	8 ცალ.	0,871	5—92
		საბეჭ. სურათები	1 ცალ.	0,481	
		პრეისკ. უც. ენაზე	133 ცალ.	3,510	5—50
		კოუის ძაფი დაბეჭე.	240 დიუჟ.	2 ფ. 35 გ.	240—00
		აზოტის სიმჟავე	1 ბოთ.	6,627	20—00
		მამაკაც. შალის კოსტიუმი, პიჯაკი	1 ცალ.		
		შარვალი	1 ც.	2,317	
		ჟილეტი	1 ც.		
		ლიონის შარფი	8 ცალ.	1,024	
		ქვეშ ჩასაც. პერანგი	1 ცალ.	0,320	
		საყელო	6 ცალ.		
		აბრეშუმის გალსტუკი	8 ცალ.	0,068	
		მოქ აბრ. მატერია	2 ნაჭერი	5,375	
		აბრეშუმის სხვადასხვა ქსოვილები	6 „	2,764	
		თეთრი ბატისტი	2 „	1,190	
		შვეიც. „კრუტვები“	6 „	0,265	
		მოქარგ. ცხვირსახოცი	6 ც.	0,051	
		ბატისტის ცხვირსახოცი	4 ც.	0,021	
		აბრეშუმის ქსოვილი ნაწარმოები:			
		ფაკეტი	15 ც.		
		კაბნე	5 „	6,057	2771—57
		ჩულქი	1 „		
		ნახევრად აბრეშუმის შარვლის თასმები	3 ც.	0,307	
		წვივსაკრავები	2 ც.		
		ბავშვის ფეხსაცმელი	7 წყვ.	2,847	
		ტყავ. ხელთათმანი	3 ც.	0,333	
		ქალის რედიკ. ზამშ.	2 „	0,333	
		ქალის მოქს კოფთ.	3 „	1,139	
		ნ ქ. აბრეშ. ნაჭერი	1 „	0,307	
		ქალის აბრ. კაბა	1 „	0,307	
		ქალის ნოქ. აბრ. ჩულქი	5 წყვ.	0,165	
		ბატისტის ცხვირსახ.	12 ცალი	0,162	
		ქ ლის ფეხსაცმელი	4 წყვ.	2,46	
		აბრეშუმის კაბნე	3 ცალი	0,320	
		ქალის კოსტიუმი:			
		ჟაკეტი	1 ც.	1,280	
		კაბა	1 ც.		

№№ ალწერის	ვის სახელზე ითვლება ტვირთი	საქონლის სახელწოდება	რაოდენობა ანგარიშით	რაოდენობა წონით	შეფასება
603	ჩეხო-სლოვაკიის კონსულის	შალის ქსოვილი	2 ნაჭ.	0.425	
604	შვეიცის საზ-ბა ბელგ.	პრეისკ. უც. ენაზე	5 „	0.375	
605	ისკი	საბეჭ. სურათები	3 „	0.070	
606	მამადი-ოღლი	ბამბის ქსოვილი	6 „	0.590	
607	სოხუმის შეთამბაქოთა კავშირი	ლიონის შარფი	1 ტომ.	27.800	50—00
		ქვეშ ჩასაც. პერანგი	2 კალ.	0.756	38—52
		საყელო	4 „		
		აბრეშუმის გალსტუკი	3 „		
		მოქ აბრ. მატერია	3 „		
		დუხის. ცარიელი ბოთლი	9. ცალ.	140,8 გრ	
		აბრეშუმის სხვადასხვა ქსოვილები	1 ცალ.		
		თეთრი ბატისტი	1 „	0.525	45—15
		შვეიც. „კრუტვები“	1 „		
		მოქარგ. ცხვირსახოცი	67 წყვ.		
		ბატისტის ცხვირსახოცი	23 „	28.5	911—20
		აბრეშუმის ქსოვილი ნაწარმოები:	86 „		
		ფაკეტი	10 ბოჭ	748 კ.	
		კაბნე	10 „	248 კ.	873—29
		ჩულქი	4 კოლ.	2.300	
		ნახევრად აბრეშუმის შარვლის თასმები	50 „	2 9 კ.	2576—37
		წვივსაკრავები	50 „	2.9 კ.	
		ბავშვის ფეხსაცმელი	2 ცალ.	0.751	
		ტყავ. ხელთათმანი	1 ცალ.		85—48
		ქალის რედიკ. ზამშ.	3 წყვ.	0.260	
		ქალის მოქს კოფთ.	3 წყვ.		
		ნ ქ. აბრეშ. ნაჭერი	2. ც.ლ.	9 800	86—90
		ქალის აბრ. კაბა	446 ც.	3194.30	252—40
		ქალის ნოქ. აბრ. ჩულქი	150 ც.	19.68	30—00
		ბატისტის ცხვირსახ.	735 ც		
		ქ ლის ფეხსაცმელი	72 ცალ.	101.17	2298—54
		აბრეშუმის კაბნე	14 ცალ.	16.80	
		ქალის კოსტიუმი:			
		ჟაკეტი			
		კაბა			

ორჯერ დანიშნულ ვაჭრობაზე გაუყიდავი საქონელი

490	უაატოროო	სომხური წიგნები	—	2 05	0—50
550	კ-რა დოდუ.	შალის საბნები	1925 ც.	3992.339	4689—60
		შალის ქსოვილი	6 ნაჭ.		
551	ანატ. კავკ. გემთა საზოგადოება	კანტორის წიგნები	930 ც.	389.9	500—00
		ოდეკალონი	239 ბოთ.	126.58	625—00
552	ბათომის „ჩეკა“	”	125 „	127.4	
		საპონი არა კოსმ.	1437 კოლ.	1244.06	
553	ბათომის „ჩეკა“	ბამბის ქსოვილი არა ტილოსი	40 ნაჭ.	264,46	813—31

ბათომის საბაჟო

სტამბა „ზარია ვოსტოკა“-ს ნაბეჭდების ფასი № 4